# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ცუღლებით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 5 თებერვალი, 2010 წელი.

№22 (6388)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


ბიძინა სავანელი:

## სააკაშვილს 30 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ან უვადო პატიმრობა ემუქრება



2



## „ჩემორებზე,“ დაღლილ ვირებსა და რუსულ შოკოლადზე...

3

გიორგი ჭანტურია:



## ჩემი, როგორც თბილისის მერის მიმართ ნდობა, საქართველოს ენერგოუსაფრთხოების პროექტებისადმი ნდობა იქნება

5

## ქვეყანა მშვენიერი გაქვთ, მომსახურება კი...

6

- ბაინდურაშვილი გვაიმედებს თუ დავითაშვილი ტყუის?
- რუსები ქართველებზე ნადირობას განაგრძობენ
- ზურაბ ნოღაიდელი სახელმწიფოს შიდა ვალის გასტუმრებას სთხოვს

4

## ამერიკელმა სამართალდამცველებმა თემურ ბასილია დააკავეს

2



## „ყთავთ მხედარი“

3



## ამოთხრიან თუ არა ოპერის ბაღიდან ზაქარია ფალიაშვილის საფლავს?

12



ეს ყველას აინტერესებს

პაატა რამიშვილი:

## წიგნი, რომელიც უთუოდ დაეხმარება სამხრეთ კავკასიელ ხალხებს ერთიანობისთვის ხელშემშლელი სტერეოტიპების მსხვრევაში

7

## საქართველომ გადაწყვიტა სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი მშვიდობიანად დაიბრუნოს

8

ექსკლუზივი



**ინტერვიუ საერთაშორისო სამართლის ევროპული საზოგადოების წევრთან და ადამიანის უფლებების ექსპერტთან, პროფესორ ბიძინა სავანელთან**

# სააკაშვილს 30 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ან უვადო პატიმრობა ემუქრება

**— ადვოკატმა ლია მუხაშავრიამ საზოგადოებას ტელევიზიით მიაწოდა ინფორმაცია ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალის საგამოძიებო ჯგუფის საქართველოში მომავალი ვიზიტის შესახებ. ბატონო ბიძინა, რას წარმოადგენს ჰააგის ტრიბუნალი?**

— ადვოკატმა ლია მუხაშავრიამ არასწორი ინფორმაცია მიაწოდა საზოგადოებას საქართველოში ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალის საგამოძიებო ჯგუფის მომავალი ვიზიტის შესახებ.

ჰააგის ტრიბუნალს საქართველოში არაფერი ესაქმება, რადგან ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალი შეიქმნა დროებით და ისიც მხოლოდ და მხოლოდ რუანდისა და ყოფილი იუგოსლავიისთვის, და ამიტომ ეწოდა მას ტრიბუნალი და არა სასამართლო.

სინამდვილეში საქართველოში ჩამოდის საერთაშორისო სისხლის სამართლის მუდმივმოქმედი სასამართლოს პროკურორის წარმომადგენელთა ჯგუფი. აქვე გაცნობებთ, რომ საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლო მოქმედებს 1998 წლის 17 ივლისს მიღებული რომის სტატუტის შესაბამისად და ეს სტატუტი ზოგიერთი ცვლილებებით ძალაში შევიდა 2002 წლის 1 ივლისს, ანუ რუანდისა და ყოფილი იუგოსლავიისთვის საერთაშორისო ტრიბუნალთან შედარებით გაცილებით გვიან.

**— ადვოკატმა ლია მუხაშავრიამ ასევე განაცხადა, რომ ჰააგიდან ჯგუფი ჩამოდის ევროპის საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციის საფუძველზე, რომლითაც ჰააგის სასამართლოს დაევალა გამოძიების ჩატარება. მოკლედ ხომ არ გაგვაცნობთ რეზოლუციის შინაარსს?**

— კიდევ ერთი დეზინფორმაცია! როდის შემდეგ გახდა საერთაშორისო, თანაც რეგიონული, სამთავრობათაშორისო ორგანიზაციის რეზოლუცია შესასრულებლად სავალდებულო საერთოდ სასამართლოსთვის, და, მით უმეტეს, საერთაშორისო სასამართლოსთვის. არავის აზრადაც არ მოუვა, რომ სასამართლო და, მით უმეტეს, საერთაშორისო სასამართლო დაავალდებულოს, აღძრას სისხლის სამართლის საქმე. საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს წინაშე სისხლის სამართლის საქმის წარმოებაზე შუამდგომლობა (ხაზს ვუსვამ — **შუამდგომლობაძ**) პროკურორის წინაშე შეუძლია აღძრას ან სტატუტის წევრმა სახელმწიფომ ან გაეროს უშიშროების საბჭომ, ან თავად პროკურორს შეუძლია აღძრას სისხლის სამართლის საქმის წარმოება. ამასთან, სტატუტის წევრ სახელმწიფოს და გაეროს უშიშროების საბჭოს შუამდგომლობა სავალდებულო არც ერთ შემთხვევაში არ არის პროკურორისთვის. და თუ მოხდა სასწაული და სტატუტის წევრმა სახელმწიფომ ანდა გაეროს უშიშროების საბჭომ სასამართლოს სისხლის სამართლის საქმის წარმოება პროკურორს დაავალა, ეს განიხილება როგორც ზეწოლა სასამართლოზე, რასაც საერთაშორისო სკანდალი აუცილებლად მოჰყვება.



საქმე სხვაგვარადაა. 2009 წლის 2 ოქტომბრის 6/1683 რეზოლუციის შესაბამისად ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს პროკურორს **თხოვნით** მიმართა, რათა მან წინასწარი (პირობითად „საგამოძიებო“ — **ბ.ს.**) წარმოების სასამართლოს პალატის წინაშე **იშუამდგომლოს,** რათა ამ უკანასკნელმა ფორმალურად გახსნილად გამოაცხადოს წარმოება 2008 წლის აგვისტოს და მას შემდეგ საქართველოს და რუსეთის მხრიდან ომის და ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილი საერთაშორისო დანაშაულების გამო.

**— ადვოკატმა ლია მუხაშავრიამ განაცხადა, რომ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს პროკურორს გაუგზავნა ტალიავინის კომისიის დასკვნა. რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ტალიავინის დასკვნას ქართული მხარის მიმართ?**

— ტალიავინის კომისიის დასკვნა ბუნებაში არ არსებობს. არსებობს ევროკავშირის წევრი ქვეყნების მთავრობათა მიერ დელეგირებული ექსპერტების მიერ საქართველოში კონფლიქტის ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისიის მოხსენება. ეს ერთი. მეორე. კომისიასა და მისიას შორის პრინციპული სხვაობაა (საკმარისია ჩავიხედოთ დიპლომატიური სამართლის ლექსიკონში და ამაში ადვილად დავრწმუნდებით). მესამე. დასკვნასა და მოხსენებას შორის ასევე პრინციპული სხვაობაა. სამართლის სივრცეში დასკვნას პროკურორი იძლევა მხოლოდ.

საქართველოში კონფლიქტის ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისიის (და არა კომისიის) მოხსენებას აქვს იურიდიული ძალა, რადგან მან 1. გამოიძია საქართველოში კონფლიქტის წარმოშობა და მიმდინარეობა. 2. გამოიძია საქართველოში კონფლიქტი საერთაშორისო სამართლის, ჰუმანიტარული სამართლის და ადამიანის უფლებათა თვალსაზრისით. 3. გამოიძია საქართველოში კონფლიქტთან დაკავშირებული ბრალდებები, მათ შორის ომის დროს ჩადენილ დანაშაულებში. მოცემულ შემთხვევაში მისიამ, ძველი ტერმინოლოგია რომ გამოვიყენოთ, ჩაატარა მოკვლევა, ანუ მოიძია ფაქტები. მოკვლევას კვაზი-იურიდიული ძალა აქვს, რადგან ის ითხოვს საპროკურორო გამოძიებას, რასაც ჩაატარებს საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს პროკურორი.

იურისტი უნდა იყოს ზედმიწევნით ზუსტი. ჰანს კელზენმა — სამართლის თეორიის და საერთაშორისო სამართლის გიგანტმა, როგორც მას უწოდა სამართლის ევროპულმა აკადემიამ, ზუსტ მეცნიერებათა შორის ორი დარგი დაასახელა: **მათემატიკა და იურისპრუდენცია.**

ასე რომ, ახალგაზრდა ადვოკატმა მუხაშავრიამ სჯობს მიხედოს ადამიანის უფლებების დაცვას კონკრეტულ, მის წარმოებაში მყოფ საქმეებს, რასაც ის წარმატებით უძღვება და სათანადო განათლების მიღებამდე შეეშვას სახელმწიფოთაშორისო, ანუ საერთაშორისო სამართლის დარგს.

**რაც შეეხება შეკითხვას: რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ტალიავინის დასკვნას ქართული მხარის მიმართ?**

საქართველოში კონფლიქტის ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისიის მოხსენების თანახმად: **„პრეზიდენტ სააკაშვილის 2008 წლის 7 აგვისტოს 23 საათზე და 35 წუთზე ცხინვალზე სამხედრო შეტევის შესახებ გაცემულმა ბრძანებამ მცირე ინტენსივობის სამხედრო კონფლიქტი გადააქცია ფართომასშტაბიან შეიარაღებულ კონფლიქტად. ამიტომ სააკაშვილის ეს ქმედება კონფლიქტის სამართლებრივი ანალიზის ამოსავალი წერტილია“.**

„ძალის გამოყენება ქართული მხარის მიერ, რაც გამოიხატა ცხინვალის და მიმდებარე სოფლების მიმართ „გრადის“ და კასეტური ბომბების გამოყენებაში, შეიძლება შეფასდეს როგორც აგრესია გაეროს 3314 რეზოლუციის მუხლი 3(ა)-ს თანახმად. დადასტურების შემთხვევაში ქართული მხარე შეიძლება მხილებული იქნეს შეიარაღებული ძალის გამოყენებაში სამოქალაქო ობიექტების და მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ, ანუ ომის დანაშაულში.“

**— თუ დადასტურდა მისიის მოხსენებაში მოყვანილი ფაქტები, რა სასჯელი ელოდება აგრესიასა და ომის დანაშაულში ბრალდებულ პირებს?**

— თუ დადასტურდა მისიის მოხსენებაში მოყვანილი ფაქტები, მაშინ დამნაშავე პირებს ემუქრებათ 30 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ან უვადო პატიმრობა.

**საუბარს წარმართავდა**
**რომან პეტრიაშვილი**

ინფორმაცია

## „საიდუმლო ზარები“ რუსეთიდან

**ოპოზიციონერი დეპუტატი ჯონდი ბაღათურია იმედოვნებს, რომ მედვედევის ადმინისტრაციიდან საქართველოს**



**პარლამენტში ზარები მხოლოდ „ურთიერთობის აღდგენის სურვილით ხორციელდება“.**

**ამის შესახებ ბაღათურიამ განცხადება გუშინ პარლამენტში საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე გააკეთა და აღნიშნულ კონტექსტში ხელისუფლებას შესაბამის პროცესში აქტიური ჩართვისკენ მოუწოდა.**

**აღსანიშნავია, რომ 2 თებერვალს, „გაურკვეველი ზარები“ უმრავლესობის და უმცირესობის სამუშაო ოთახებშიც დაფიქსირდა. მათ შორის გიორგი თარგამაძესთან, თუმცა როგორც ის აცხადებს, „მას ჩემპიონთა ლიგის ფინალურ მატჩზე დასწრება შესთავაზეს“.**

## გალის რაიონის დაბალი ზონის სოფლები გაძარცვეს!

**გალის რაიონის დაბალი ზონის სოფლებში: სიდაში, ბარღებსა და რეფში ყაჩაღობა მოხდა.**

**ადგილობრივების განცხადებით, რუსი ოკუპანტები სოფლებში მძიმე ტექნიკით შედიან და სახლებიდან საოჯახო ტექნიკა, ნივთები და პროდუქტები გააქვთ.**

**წუხელ მომხდარი რამდენიმე ყაჩაღობის შედეგად ნაცემები არიან მიმოზა და ნოდარ დადიანების ოჯახის წევრები, სახლიდან კი სხვადასხვა სახის ნივთებია გატანილი.**

**ამასთან, აგრესორებმა სოფლების შესასვლელ-გასასვლელებიც ჩაკეტეს.**

**საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლებმა ფულის გამოძალვის მიზნით სამი ადამიანიც გაიტაცეს. პარალელურად, გალის დაბალი ზონის სოფლებში საზღვრებს ამაგრებენ.**

ჯი-ეიჩ-ენი

ფაქტი

## ამერიკელმა სამართალდამცველებმა თემურ ბასილია დააკავეს



**ამერიკელმა სამართალდამცველებმა საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის მრჩეველი თემურ ბასილია დააკავეს. ამის შესახებ ინფორმაცია უცხოური მედიის საშუალებით გუშინ გავრცელდა. არსებული ინფორმაციით, ბასილიას აყვანა ვაშინგტონში მოხდა.**

**შეგახსენებთ, რომ ბასილია ედუარდ შევარდნაძის ეკონომიკურ მრჩევლად მუშაობდა. 2008 წლის ოქტომბერში, თბილისის საქალაქო სასამართლომ მას რამდენიმე ბრალდების გამო (თანამდებობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, დიდი ოდენობით ქრთამის აღება და თაღლითობაძ თავისუფლების 9 წლით აღკვეთა მიუსაჯა, თუმცა იმის გამო, რომ ის ამ პერიოდისთვის ვაშინგტონში ცხოვრობდა, დღემდე თავისუფალი იყო. ამიტომაც, ბასილიაზე ინტერპოლის მიერ ძებნა იყო გამოცხადებული.**



ჯი-ეიჩ-ენი

სოციუმი

## ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი იმერეთში ჩასახლებულ დევნილებს შეხვდა

**კობა სუბელიანი გუშინ იმერეთის რეგიონს ესტუმრა და იქ ჩასახლებული დევნილები მოინახულა. მინისტრმა იმერეთის რეგიონში დევნილებისთვის რეაბილიტირებული საცხოვრებელი კორპუსები პირადად მოინახულა. კოპიტნარის ყოფილ სამხედრო დასახლებაში მინისტრმა სრულად აღდგენილი 13 კორპუსი დაათვალიერა და აღნიშნა, რომ დღეიდან აფხაზეთიდან დევნილი 452 ოჯახი უკეთ იცხოვრებს, ვიდრე უწინ.**

ხუთსართულიან 13 კორპუსში შეიცვალა როგორც შიდა, ისე გარე კომუნიკაცია, გაკეთდა მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები, შეიცვალა წყალგაყვანილობა, სახურავი, მოწესრიგდა ელექტროგაყვანილობა და გარემონტდა ოთახები. როგორც დასახლებაში მცხოვრები დევნილები აცხადებენ, ძალიან კარგი საქმე გაკეთდა და საწუწუნო არაფერი აქვთ.

კოპიტნარის ყოფილ სამხედრო დასახლებაში ფუნქციონირებს პურის საცხობი, სამრეცხაო, აბანო, ბავშვთა მცირე ატრაქციონი და სკოლა.

ჯი-ეიჩ-ენი

დავიჯეროთ?

## 100 საავადმყოფო კვლავ „ბლოკ ჯორჯიაზეა“ დამოკიდებული

**„ბლოკ-ჯორჯია“ 100 ახალი საავადმყოფოს ფაქტობრივად ჩავარდნილი პროექტის განხორციელებას მარტიდან ვარაუდობს.**

როგორც კომპანიის სამშენებლო მიმართულების ხელმძღვანელმა ვახტანგ ჯანაშვილმა განაცხადა, კლინიკების მშენებლობის გაგრძელებისთვის საქართველოში თანხები ჩეხეთიდან მარტის თვიდან გადმოირიცხება.

შეგახსენებთ, რომ „100 ახალი საავადმყოფოს“ პროექტი ძველი კლინიკების ნგრევას და 24 ახალი სამედიცინო დაწესებულების მშენებლობას ითვალისწინებს.



ჯი-ეიჩ-ენი

ფიქრები

# „ჩმორებზე," დაღლილ ვირებსა და რუსულ შოკოლადზე...



**და ისევ რუსეთი. ისევ მტრის ხატის ძიება... საზოგადოების პატრიოტებად და მოღალატეებად დაყოფა... თითქოსდა, ამ პატარა საქართველოს სხვა სადარდებელი არაფერი ჰქონდეს, პოლიტიკოსების სათარეშოდ და უნიჭო სპექტაკლების სცენად გადაქცეულა. რუსეთის მიზანმიმართულ ლანძღვას საზოგადოების ერთი ნაწილიც ეწირება, ვინც ხელისუფლების საგარეო პოლიტიკას გაუწონასწორებლად და მცდარად მიიჩნევს, ვინც, აგვისტოს დიდი აგრესიის მიუხედავად, მაინც მოითხოვს, ჩრდილოეთის მეზობელთან დიალოგს, ორ მხარეს, ხალხებს შორის ნორმალური ურთიერთობის აღდგენას.**

ეს კი, რატომღაც, აღიზიანებს ხელისუფლებას, რომელიც მზადაა ამერიკის შეერთებული შტატების ნებისმიერი სურვილი უსიტყვოდ შეასრულოს. ამის დასტურია ახლახან სააკაშვილის ბოლო ინიციატივა ამერიკული სამხედრო ბაზის საქართველოში გახსნის თაობაზე. ექსპერტების აზრით, სინამდვილეში სწორედ ამას ნიშნავს პრეზიდენტის წინადადება აშშ-ს შეიარაღებული ძალების მიერ ავღანეთის საბრძოლო მოქმედებებისთვის საქართველოს სამხედრო ინფრასტრუქტურის შესაძლო გამოყენების შესახებ.

კარგია თუ ცუდი ეს ჩვენთვის, თავად განსაჯეთ, ერთი რამ კი ცხადია, თუ რუსეთის საზღვარზე საქართველო ამერიკული ბაზების განლაგების ცენტრად იქცევა, როგორი იქნება ამაზე თავად რუსეთის რეაქცია, და ეს როგორ აისახება საქართველო-რუსეთის ურთიერთობაზე, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს. როგორც ჩანს, თავად პრეზიდენტი ამ წუთებისთვის გვამზადებს, როდესაც აცხადებს, საქართველოს ჰყავს მტერი, მისი 20 პროცენტი ოკუპირებულია და ამიტომ სკოლებში სამოქალაქო თავდაცვა უნდა ისწავლებოდესო. ღმერთმა დაგვიფაროს და, თუ რუსეთთან კიდევ ომისთვის ვემზადებით, ვერც სამოქალაქო თავდაცვა და ვერც სხვა რამ ვერ გადაგვარჩენს...

სიტყვებით კეკლუცობა და ვიღაც-ვიღაცების „ჩმორებად" მოხსენიება სხვა არაფერია, თუ არა ისევ და ისევ ხელისუფლების პიარი საკუთარი თავის უკეთესად წარმოსაჩენად, მაშინ როცა თავად ხელისუფლებას არც ამ ვითარებასთან შეგუების და არც მისგან გამოსვლის სტრატეგია არ აქვს. ხან აკეთებს განცხადებას, რომ მზად არის რუსეთთან დიალოგის დასაწყებად, ხან კი ხელაღებით აუგად მოიხსენიებს რუსეთის მესვეურთ. ასე მოხდა ამჯერადაც, როდესაც სკოლაში, მოსწავლეებთან შეხვედრისას ჩვენმა პრეზიდენტმა რუსები უნიჭო და გადაგვარებულ ერად წარმოგვისახა, მისი მესვეურნი კი — გაუნათლებლებად.

და ეს ხდება იმ ფონზე, როდესაც რუსეთი ძალზე აქტიურობს საქართველოში დიალოგის დასაწყებად. „ქართველი ბავშვები არასდროს აღარავის მონებად აღარ გაიზრდებიან, მაგრამ ამ დიდებს რა სჭირთ?! იმათ რა გადაეფარათ თვალებზე?..." განაცხადა პრეზიდენტმა და ქართული ოპოზიციის ის წარმომადგენლები, ვისაც მოსკოვთან დიალოგი სურთ, „ჩმორებად" მონათლა. „თუ რომელიმე ცალკეული პოლიტიკოსი „ჩმორია", საქართველო არასდროს „დაჩმორდება" და მით უმეტეს არც მათ „დააჩმორებინებს" თავს!"

დიდი სიამოვნებით ვირწმუნებდი ამ სიტყვებს, თავად ხელისუფლება რომ იყოს პრინციპული და გულადი. ვინ „ჩმორი" იყო და ვინ მშიშარა, აგვისტოს ომის დღეებმაც ცხადზე უცხადესად დაგვანახა, ახლა კი ხან ოპოზიციას „აჩმორებენ" და ხან — ბავშვებს. თურმე მათ სკოლაში თემასაც აწერინებენ: „რუსეთის აგრესია და საქართველო." სურსათის მაღაზიაში გამყიდველმა ისიც მითხრა, ამას წინათ, ერთმა ქალმა შოკოლადები უკან მომაყარა, როცა გაიგო, რომ რუსეთში წარმოებული იყოო! აი, ასე ნერგავენ რუსეთის ზიზღს საზოგადოების ერთ ნაწილში — რუსული ყველაფერი ცუდია, ამერიკული კი — კარგი. ეს პოლარიზაცია, არა მგონია, კარგის მომტანი იყოს ჩვენთვის, მაგრამ გვინდა თუ არ გვინდა, პოლიტიკა მაინც შემოდის ჩვენს ცხოვრებაში.

ხელისუფლებას, თუ ის ნამდვილად ძლიერია და საკუთარი თავისა სჯერა, არ უნდა აშინებდეს რომელიმე ოპოზიციონერის რუსეთში სირბილი, რადგან ეს, თუ დემოკრატიული ქვეყანა ხარ, ჩვეულებრივი ამბავია. მაგრამ ამ შემთხვევაში ხელისუფლების ღელვანი საკუთარ სკამებს უკავშირდება — რუსეთში უკვე ღიად საუბრობენ, რომ მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში მათ თავისი პრორუსული კანდიდატის ხილვა სურთ. ამიტომ ნოემბრის „ვარდებს" შესაძლოა ჭკნობის საფრთხე დაემუქროს. მით უფრო, რომ, ექსპერტების თქმით, ამერიკის ყურადღება საქართველოს მიმართ უფრო და უფრო კლებულობს. ისინი ღიად აცხადებენ, რომ თუნდაც შუა აზიის ენერგორესურსებს უწინდელივით სასიცოცხლო მნიშვნელობა მათთვის აღარ ექნება, აქედან გამომდინარე, საქართველოს ალტერნატიული სატრანზიტო დერეფნის როლის საჭიროების აუცილებლობაც მცირდება. ამ ყველაფერს თუ უკრაინის მოვლენებს და პირველ ტურში რუსეთის სასურველი კანდიდატის წარმატებას დავუმატებთ, აღმოვაჩენთ, რომ გლობალური თვალსაზრისით, „ვარდების" საქმე არცთუ სახარბიელოდაა.

ასეთ ვითარებაში, საქართველო „არ დაჩმორდებას" ძახილი საკუთარი გულის მოსაფხანად ნათქვამი უფროა, ვიდრე ჩვენთვის რაიმე შედეგის მომტანი. ხელისუფლებას გულს ის უხეთქავს, მოსკოვში მორბენალი ოპოზიციის წარმომადგენელი საქართველოს შიგნით რა უნდა მოხდეს, იმ საკითხებს წყვეტსო, ანუ ჩვენს სკამებს ამით საფრთხე ხომ არ ემუქრებაო... სამწუხარო კი ის გახლავთ, რომ „დაღლილ ვირებს" ასეთ საგრძნობ ყურადღებას უთმობს პრეზიდენტი და მათ პოპულარულ პერსონებად აქცევს. **ისე, ურიგო არ იქნება თუ თავად პრეზიდენტი მიბაძავდა ამ „დაღლილ" პერსონას და მასავით აფხაზურის სწავლებას დაიწყებდა. ვინ იცის, იქნებ ამით მაინც მოვალბოთ ჩვენი განდგომილი ძმების გაყინული გულები...მით უფრო, რომ „დაღლილი ვირები" ერთა შორის ძმური ხიდების გასადებად მზად არიან...**

**ნატა ნიბლაძე**

ვითხოვ სიტყვას!

# „უთავო მხედარი"

**ნამდვილად ვერ დავდებ თავს იმასთან დაკავშირებით, წაკითხული აქვთ თუ არა ამ ჩვენს ახალგაზრდებს მაინ რიდის „უთავო მხედარი" და აქედან გამომდინარე, ვერც იმას ვიტყვი, თუ რომელი კინოგმირი ურჩევნიათ: მორის მუსტანგერი, რომელიმე ხუანი, თუ „მყუდრო" (პრინციპში პასუხი ვიცი, მაგრამ თქვენ ვერ გეტყვით, რადგანაც არ მინდა გული აგიცრუოთ).**

სამაგიეროდ ციხეების ყოფილმა უფროსმა და ბედის ირონიით, თუ ხელისუფლებაში არსებული საკმაოდ მიზანმიმართული ხედვით, განათლების მინისტრად „გადაკარუსელებულმა" დიმიტრი შაშკინმა და საქართველოს მთავარმა პროკურორმა, ბატონმა მალხაზ ზოდელავამ, ჩვენი მომავალი თაობის „ინტელექტუალური დონის ამაღლების" ახალი მეთოდი (ალბათ ევროპაში აპრობირებულიძ იპოვეს.

ისინი სკოლებში რუსთაველის, გალაკტიონის, პუშკინის და ტოლსტოის სწავლების ნაცვლად, მოქმედ პროკურორებს ჩაატარებინებენ გაკვეთილებს, ახალგაზრდების კრიმინალში ჩათრევისგან თავდახსნის მიზნით ისარგებლებენ ე.წ. „თავისუფლების ინსტიტუტის" მიერ შექმნილი სახელმძღვანელოებით და აუხსნიან, რომ კაცობა, ქალობა, ვაჟკაცობა, საკუთარი თავისა და სხვისი პატივისცემა ცუდი და კანონით დასჯადია, ხოლო „ჩაშვება", სექსუალური თავისუფლება და ურწმუნოება კარგი და წახალისებადი.

ეგ კი არა და, სკოლაში დანის და სხვა სახის იარაღის შეტანისგან დაზღვევისათვის, გადაწყვეტილია, რომ სკოლაში შესვლისას მოსწავლემ, ისეთივე პროცედურა გაიაროს, როგორსაც გლდანის №8 „კარანტინში" ჩაყვანამდე გადიან დაპატიმრებული მოქალაქეები.

ვაიმე, ეს რა წამომცდა. მაპატიე, ძვირფასო მკითხველო, ოდნავ ზევით პუშკინი და ტოლსტოი ვახსენე. ეს რა დამემართა. ახლა ხომ რუსეთის აგენტობას დამაბრალებენ.

**ვიღაც მეტყვის: შენც ადექი და წაშალეო.**

**ვერ წავშლი, რადგანაც ბულგაკოვი წერდა „ხელნაწერები ცეცხლშიც არ იწვისო" და ამიტომ გადაკეთებაზე „ჩალიჩს", აზრი არა აქვს.**

ისე, მაპატიეთ ამ მოკრძალებული კითხვისთვის, მაგრამ ძალიან მაინტერესებს: — რა უფრო აცილებს კრიმინალს ჩვენს ახალგაზრდებს — პროკურორების მიერ ჩატარებული გაკვეთილები, ამერიკული ტრილერების სტილში გადაღებული ფილმების ჩვენებით, თუ ლიტერატურის შედევრების ნორმალური სწავლებით?

რაღა დაგიმალოთ და პასუხი ჩემთვის ცნობილია.

სააკაშვილმა კი ამ ფონზე, ბორჯომის სკოლაში ისეთი სიტყვები გამოიყენა, რომელიც ბარემ ბევრ „დამწყებ ძველ ბიჭს" შეშურდებოდა (მაგ: „ჩმორი").

არადა პროკურორების (ისე, მე მგონი, უფრო ადვოკატებისძ გაკვეთილები, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ გრიგოლ ვაშაძეს (რუსეთის პროკურატურის მიერ აღძრული სისხლის სამართლის საქმის გამოძ, ტელეკომპანია „პირველი კავკასიურის" და „საზოგადოებრივი მაუწყებლის" ხელმძღვანელებს უფრო გამოადგებათ.

ყოველგვარი ნიშნის მოგებით მინდა ვკითხო ამ ჩვენს ხელისუფლებას და იმ ხალხს, რომელთა „კომპასის ისარი დასავლეთისკენ" არის მიმართული: — ხომ ხედავთ, რომ არ „ევასებით" ამ „დასავლეთს", დაანებეთ თავი, რას „ეტენებით?"

ჟარგონის უფლება მიხეილ სააკაშვილისგან ავიღე. ხოლო „კომპასთან" დაკავშირებით, ოდნავ შევცვალე ფრაზა ნოდარ დუმბაძის რომანიდან „მზიანი ღამე". არადა ეს ჩვენი იდეოლოგები ზუსტად ისეთი პოლიტიკოსები არიან, როგორი პოეტიც ნახსენები რომანის გმირი აბულაძე იყო.



რა მაგის პასუხია და, მე მგონი განათლების ყოფილი მინისტრი ალბათ იმის გამო გაუშვეს სასწავლებლად, რომ მსგავსი გაკვეთილები არ ჰქონდა გავლილი.

აქ კი ძალიან დავიბენი და აბსოლუტურად მისაღები კითხვა დამებადა:

ძალიან საინტერესოა, თუ საიდან მოდის ეს ყველაფერი?

პასუხი მართლაც, რომ მარტივი აღმოჩნდა.

დიდი ტვინის ჭყლეტა არ სჭირდება იმის მიხვედრას, რომ — ყველაფერი „თავიდან" იწყება.

აბსოლუტურად ყველაფერი: მოთხრობაც, ბიზნესგეგმაც და „თევზის აყროლებაც".

თქვენ წარმოიდგინეთ და, სახელმწიფოს შენებაც „თავიდან" იწყება (ამ სიტყვის, როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობითძ.

**ყველაფრის თავი და თავი კი, თქვენ წარმოიდგინეთ და პრეზიდენტი, პარლამენტი, მთავრობა ან ოპოზიცია კი არა, ჩვენი, საქართველოს მოსახლეობის ნებაა.**

**დიახ, ის ნება, რომელმაც უნდა განსაზღვროს ის კურსი, თუ ვინ ჩაუტარებს ჩვენს შვილებს გაკვეთილს: ხელისუფლების დაკვეთების შემსრულებული პროკურორი, თუ ლიტერატურის, მათემატიკის და ისტორიის მასწავლებელი.**

ხელისუფლების ის კურსი, რომელიც განსაზღვრავს, რომ ჩვენს ბავშვებს გაკვეთილზე რაღაც იდიოტური კლიპები კი არ უნდა აჩვენონ, არამედ საქართველოსა და მსოფლიოს ნამდვილი ისტორია, ნამდვილი გეოგრაფია და პითაგორას თეორემა უნდა ასწავლონ (დიახ იდიოტური, რადგანაც იმ „მოკლემეტრაჟიან ფილმებზე" უფრო უკეთესი „ხარისხით" გადაღებულ ფილმებს ყოველდღე ნახულობენ ტელეკომპანია „საქართველოს" ეთერით (მე ე.წ. სისხლიან „ბაევიკებზე" მაქვს საუბარი,,.

ამ კურსის განსაზღვრას ხალხის არჩევანი განაპირობებს.

ხალხი კი, რბილად რომ ვთქვა, ოდნავ დაბნეულია.

დაბნეულია, რადგანაც ხელისუფლებისა ხომ ვერაფერი გაიგო და ამ ოპოზიციისა საერთოდ ვერაფერი გაარკვია.

იხ. 4 გვ.

◉ პრესკონფერენცია

# ზურაბ ნოღაიდელი სახელმწიფოს შიდა ვალის გასტუმრებას სთხოვს



**მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“ ლიდერმა ზურაბ ნოღაიდელმა ანაბრების თემაზე პრესკონფერენცია გამართა. ნოღაიდელი სახელმწიფოსგან შიდა ვალის დაფარვას მოითხოვს. მოძრაობის ინიციატივაა, რომ ის ვალები და ანაბრები, რომელიც სახელმწიფოს დაუგროვდა, უნდა ანაზღაურდეს.**

მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“ მესვეური ფიქრობს, რომ სახელისუფლებო გუნდის პოლიტიკური ნების შემთხვევაში, შესაძლებელია სახელმწიფოს შიდა ვალის დაფარვა. რადგან საქმე დიდ თანხას ეხება, მისი გასტუმრება, ცხადია, დროის მცირე მონაკვეთში ვერ მოხერხდება. ეს იქნება რამდენიმე ეტაპისგან შემდგარი რამდენიმეწლიანი პროცესი. ამისთვის კი სახელმწიფომ სპეციალური პროგრამა უნდა შეიმუშავოს, — დასძინა ყოფილმა პრემიერმა.

**ზურაბ ნოღაიდელი:** „სააკაშვილის ხელისუფლების ადგილას დღესვე დავიწყებდი ამ პროექტის განხორციელებისთვის მუშაობას. საბჭოთა კავშირის შემდეგ დაგროვებული დავალიანებები დაახლოებით 5 მილიარდს შეადგენს. ამ საკითხის გადაწყვეტა დღესვე უნდა დაიწყოს. ოპერის ბათუმში გადატანასა და ახალი პარლამენტის ქუთაისში მოწყობას ურჩევნიათ თანხები ამ პროექტისთვის გაანაწილონ“.

პირველ წელს ვალის ინვენტარიზაცია და ინდექსაცია უნდა ჩატარდეს, ჩამოყალიბდეს ანაზღაურების ფორმები და მოვალეთა რიგითობა განისაზღვროს. მომდევნო წლებში კი შესაძლებელი იქნება ვალის გასტუმრების დაწყება. იგი შეიძლება გამოიხატოს როგორც უშუალოდ თანხის დაბრუნებით, ისე კომპენსაციის სახით. ნოღაიდელის აზრით, ვალის დაფარვის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს ორი ძირითადი კრიტერიუმი: ასაკი და შემოსავლები. უპირველესად უნდა დაიფაროს ხანდაზმული და დაბალშემოსავლიანი მოქალაქეების შიდა ვალი.

**ხატია მუსერიძე**

◉ ინფორმაცია




## ბაინდურაშვილი გვაიმედებს თუ დავითაშვილი ტყუის?

**ფინანსთა მინისტრმა კახა ბაინდურაშვილმა კობა დავითაშვილის ოფიციალურ წერილსა და შეკითხვას ოფიციალური განცხადებითვე უპასუხა და განმარტა, რომ “„ხალხის პარტიის“ ლიდერმა გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებების გამო მოსახლეობა შეცდომაში შეიყვანა.**

**— მოვუწოდებ ყველა მოვაჭრეს და კობა დავითაშვილსაც ოფიციალურად ვეუბნები, რომ საგადასახადო კოდექსში შეტანილი ახალი ცვლილება გარე მოვაჭრეებს ზედნადების აუცილებლობას არ უწესებს. ის მხოლოდ ნებაყოფლობითია, — განაცხადა ბაინდურაშვილმა.**

**მინისტრის თქმით, თუკი მოვაჭრეები აქციებს დაიწყებენ, ამით არა ბიუჯეტს, არამედ მხოლოდ საკუთარ შემოსავლებს ავნებენ.**

**ამასთან, ბაინდურაშვილის განმარტებით, ფინანსთა სამინისტრო ინტენსიურ სამუშაოებს დაიწყებს მოვაჭრეების საინიციატივო ჯგუფებთან, რათა გაირკვეს, რა პრობლემები აწუხებს მცირე და საშუალო ბიზნესს, რომ შემდგომში მთავრობამ მათ მოგვარებაზე იზრუნოს.**

## რუსები ქართველებზე ნადირობას განაგრძობენ

**საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს შეფასებით, რუსეთის სახიფათო ქმედებათა ჯაჭვმა ადამიანზე ნადირობის ფორმა მიიღო.**

**ასე ეხმაურება საგარეო უწყება 31 იანვარს, სოფელ ნიქოზთან ცხინვალის მარიონეტული რეჟიმის მიერ ჭიათურის მცხოვრებ მალხაზ ახვლედიანის გატაცებას.**

**— მიუხედავად ჟენევის მოლაპარაკებებისა და ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში მიღწეული შეთანხმებისა, რომელიც გულისხმობს მოქალაქეების დაუყოვნებლივ გათავისუფლებას, თუ ისინი შემთხვევით გადაკვეთენ ადმინისტრაციულ სასაზღვრო ზოლს, ახვლედიანი დღემდე არ გაუთავისუფლებიათ, რაც წარმოადგენს აქამდე მიღწეული შეთანხმებების დარღვევას. ეს ნიშნავს, რომ გრძელდება რუსეთის მიერ პროვოცირებული უკიდურესად სახიფათო ქმედებათა ჯაჭვი, რომლებმაც აშკარად გამოხატული, ადამიანებზე ნადირობის ფორმა მიიღო, — ნათქვამია გრიგოლ ვაშაძის უწყების განცხადებაში.**

**საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო რუსეთის საოკუპაციო ჯარებისა და მათი მარიონეტების ქმედებათა გამო პროტესტს გამოთქვამს და საქართველოს გატაცებული მოქალაქის დაუყოვნებლივ გათავისუფლებას მოითხოვს.**

**შეგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 31 იანვარს, სოფელ ნიქოზთან ცხინვალის მარიონეტული რეჟიმის წარმომადგენლებმა ჭიათურაში მცხოვრები მალხაზ ახვლედიანი გაიტაცეს, რომელსაც წაუყენეს ე.წ. საზღვრის უკანონო გადაკვეთის ბრალდება.**

## მედვედევი ბაღაფშთან შეხვედრას აპირებს




**აფხაზ სეპარატისტთა ლიდერი სერგეი ბაღაფში ე. წ. ინაუგურაციის შემდეგ მოსკოვში გაემგზავრება და რუსეთის პრეზიდენტს დიმიტრი მედვედევს შეხვდება.**

**— რუსეთის პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი თებერვალში შეხვედრებს გამართავს. შესაძლოა, იგი აფხაზეთის პრეზიდენტ სერგეი ბაღაფშს შეხვდეს, — ეს განცხადება რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწემ სერგეი პრიხოდკომ გააკეთა.**

ХО-ЭОВ-ЭСО

◉ ვითხოვ სიტყვას!

(მესამე გვერდიდან)

უფრო სწორად რომ ვთქვა, ხელისუფლებასთან ყველაფერი გარკვეულია.

აი ოპოზიციას კი პირდაპირ მინდა ვკითხო: — თქვენ შემთხვევით ცუდად ხომ არა ხართ?

რა „პროტესტი“, რის სიების გადამოწმება?

რა ცესკო და რის ზურაბ ხარატიშვილი?

რა უკრაინა და რის ჰაიტი?

თქვენ ქართველი ხალხი ვინ გგონიათ?

ჯანდაბას ხელისუფლება! ყველამ კარგად ვიცით, ვინც არიან, მაგრამ ოპოზიცია?

უსინდისო ვიყო, თუ ალალად არ ვამბობდე ამ ე.წ. ოპოზიციის მისამართით:

უკაცრავად, მაგრამ თქვენ ისინი არ იყავით, რომლებიც მო დ ი ო დ ი ი ი თ! და „დატორმუზდით“?

თქვენ ისინი არ იყავით, რომლებიც პრეზიდენტის გადაყენებას ითხოვდით და როგორც შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს, თბილისის მერსაც ვერ უზამთ ვერაფერს?

კარგით რა, ხალხო! კარგით რა!

სიები გადავამოწმოთო!

აუუუ, ძალიან მაგარია!

11 პარტია, ანუ: „მრეწველები“, „ახალი მემარჯვენეები“, „რესპუბლიკელები“, „ქართული დასი“, „ჩვენ თვითონ“, „საქართველოს გზა“, „კონსერვატორები“, „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის“, „პარტია თავისუფლება“, „ქრისტიან-დემოკრატები“ და „ხალხის პარტია“ სიების გადამოწმებას ცესკოს ეგიდით აპირებენ (გადაამოწმებ აბა რა, როცა მილიონნახევარია ამ საქმისთვის გამოყოფილი).

ლეიბორისტები და ეროვნული ფორუმი არც სიებს ენდობიან და არც გადამოწმებას აპირებენ.

ნოღაიდელი არსებულ სიებს არ ენდობა. პრინციპში, ნოღაიდელი არავის არ ენდობა (ვინ ვინ და მაგან ნამდვილად იცის, რომ არ უნდა ენდოსძ, მაგრამ ამ სიებს განსაკუთრებით არ

# „უთავო მხედარი“



ენდობა და დამოუკიდებლად ამოწმებს (ხომ გეუბნებით, იცის იმ კაცმა და რა ვქნაძ.

სამაგიეროდ „დასავლურად გაწვრთნილი“ „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ და „სამართლიანი არჩევნები“ ვერ გარკვეულან, რა ქნან. ენდონ თუ არა. პრინციპში ეს იმის ბრალია, რომ თავიანთი „დონორებიდან“ ჯერ განკარგულება არ მიუღიათ.

„შუაქალაქელი“ დათოსი არ იყოს: — რა მინდა გკითხოთ?

— ბოლო-ბოლო, ვინ გინდათ ამ რაღაც დედააფეთქებული „ცესკოს“ თავმჯდომარედ, რაღაც წარმატებას რომ მიაღწიოთ?

არ იცით?

მაშინ მე შემოგთავაზებთ რამდენიმე კანდიდატს.

მოდით ნინო ბურჯანაძე დავნიშნოთ (ან კობა დავითაშვილი, ან სალომე ზურაბიშვილი, ან ზვიად ძიძიგური. აუუუუუ, ისინი არ იყვნენ ლიდერები, მაგრამ რადგანაც თვითონ უძახიან თავიანთ თავს ამ თიკუნს ეგრე იყოსძ.

მოდით და რეალურად ვიფიქროთ:

შალვა ნათელაშვილი იქნება ყველაზე მაგარი!ძ.

მაგრამ სამწუხაროდ ოპოზიციის „ლიდერებს“ პარლამენტარობა, ან მიტინგებზე „მარიაჟობა უფრო ევასებათ“ და არა რეალურ პროცესებში ჩართვა (მეტი არაა ჩემი მტერი ტელევიზორებში რომ გამოდიან და რაღაც სისულელეებს იძახიან, რა, რომელიმე „ლიდერს“, წინასწარ წაგებული არჩევნების ნაცვლად „ცესკოს“ თავმჯდომარეობაზე რომ განეცხადებინა პრეტენზია, როგორ გგონიათ, რა მოხდებოდა?

გაბედავდა „თავისუფლების ინსტიტუტი“ ლევან თარხნიშვილის კანდიდატურის წამოყენებას?

გაბედავდნენ სოროსის ლაწირაკები ხმის ამოღებას?

გაბედავდნენ ე.წ. „არასამთავრობო სექტორის“ ვიღაც დასავლურ განათლებამიღებული, ანუ „სოროსულ“ განათლებამიღებული და მისი სულისკვეთებით განმსჭვალული ტიპები, ვიღაც ხარატიშვილის „გაქაჩვას“?

ვერ გაბედავდნენ და ვერც ბუღალტრობაში, აუდიტში და პითაგორას თეორემის ამოხსნაში „გაწაფული“ ხარატიშვილი ვერ გახდებოდა დემოკრატიული ქვეყნის აშენებისთვის ყველაზე აუცილებელი სტრუქტურის ხელმძღვანელი (ისე ძალიან საინტერესოა, რომელი პროკურორი უტარებდა გაკვეთილებს ამ ჩვენს ცესკოს თავმჯდომარეს ან მის ლოზისტებს?ძ.

შეთანხმდებოდნენ თუ არა ცესკოში მჯდომი ოპოზიციონერები?

ნამდვილად შეთანხმდებოდნენ, რადგანაც მაშინ ისინი ელემენტარულ თვითილუსტრაციას, ანუ პოლიტიკურ ხარაკირს გაიკეთებდნენ.

რადგანაც ის ხალხი, ვინც მოსკოვში იმღერა, ვინც ლენინგრადში დისერტაცია დაიცვა, ვინც ტოლსტოი და დოსტოევსკი რუსულად წაიკითხა, გაუნათლებელი და რუსეთის აგენტია, მაშინ მე ვამბობ, რომ ვინც ე.წ. ამერიკული დემოკრატიის ქვეყნების ინსტიტუტებში შეიხედა, ყველა ან ლონდონში განათლებამიღებული, „შუაქალაქელი“ სანდროს მსგავსია, ან ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის აგენტი და ყოველგვარი ქართულის, მართლმადიდებლურის მტერი!

ჰოდა მტერი, ძალიან რბილად რომ ვთქვა, ყოველთვის უსინდისოდ და თავხედურად იქცევა და არანაირ „არჩევნებს“ არ დათმობს.

ეჰ, რადგანაც ყველაფერი თავიდან იწყება, მოდით და თავიდან დავიწყოთ.

თავიდან დავიწყოთ და, როგორც იმერლები ამბობენ, „უთაური და ჩმორი“ ხალხი მოვიცილოთ.

კორექტორს ვთხოვ, რომ სიტყვა „უთაო“ არ ჩაასწოროს, რადგანაც ეს სახელმწიფო, ანუ საქართველო „უთავოც“ და „უთაოცაა“.

რა იცოდა მაინ რიდმა, რომ მისი ერთ-ერთი რომანის გმირს მთელი სახელმწიფო დაემსგავსებოდა.

არადა, დღევანდელი საქართველო არა მარტო „უთავო მხედარს“, „მფრინავ ჰოლანდიელსაც“ ძალიან მაგრად ჰგავს.

**გია გაბრიჭიძე**

◎ კანდიდატი



***საქართველოს ნავთობკორპორაციის ყოფილმა პრეზიდენტმა და თბილისის მერობის „ქრისტიან-დემოკრატების“ სავარაუდო კანდიდატმა გიორგი ჭანტურიამ ექსპერტებს სუფსის ენერგოინდუსტრიული ზონის პროექტი გააცნო. პროექტი სუფსის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის, ნავთობქიმიური კომპლექსის, ნავთობის, თხევადი გაზისა და ბუნებრივი თხევადი გაზის ქარხნების მშენებლობას ითვალისწინებს. სუფსის ენერგოპროექტისა და თბილისის მერის არჩევნებში მონაწილეობის შესახებ „პირველი“ გიორგი ჭანტურიას ესაუბრა.***

# „ჩემი, როგორც თბილისის მერის მიმართ ნდობა საქართველოს ენერგოუსაფრთხოების პროექტებისადმი ნდობა იქნება“

**— ბატონო გიორგი, რას ითვალისწინებს სუფსის ინდუსტრიული ზონის ენერგეტიკული პროექტი და როგორ წარმოგიდგენიათ მისი განხორციელება?**

— ეს საქართველოსთვის სტრატეგიული პროექტია, რომელმაც ქვეყნის უსაფრთხოებისთვის ახალი გარანტიები უნდა შექმნას. ამერიკელი ექსპერტების შეფასების თანახმადაც, შავი ზღვის ენერგოპროექტი საქართველოსთვის არა მხოლოდ იმითაა მნიშვნელოვანი, რომ 10 000 კაცი დასაქმდება და ბიუჯეტში 700 მლნ-ზე მეტი შევა, არამედ პოლიტიკურად უმნიშვნელოვანესი გარანტიების შექმნის კუთხითაც.

**— ხელისუფლების წარმომადგენლებს თუ გააცანით პროექტი და როგორ მიიღეს მათ ეს ინიციატივა?**

— ხელისუფლების გარეშე ასეთი პროექტები არ ხორციელდება. პროექტი საქართველოს პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრსა და ენერგეტიკის მინისტრს წარვუდგინეთ და მათ ის მოიწონეს. საერთოდ, მინდა, გითხრათ, რომ ეს არ არის ახალი ამბავი, ამ პროექტზე ორი წელია, ვმუშაობთ.

**— გაზაფხულზე დანიშნულ არჩევნებში თუ მიიღებთ მონაწილეობას და რას სთავაზობთ თქვენს ამომრჩეველს?**

— მერის არჩევნებში მონაწილეობა-არმონაწილეობის გადაწყვეტილებას მას შემდეგ მივიღებ, რაც ექსპერტებთან, პედაგოგებთან, ექიმებთან, ახალგაზრდებთან და ზოგადად, მოსახლეობასთან შეხვედრებს დავასრულებ. როცა დავინახავ იმ საკითხებს და პრობლემებს, რაც დღეს დედაქალაქის წინაშე დგას და ჩემს შესაძლებლობებს შევაფასებ იმისდა მიხედვით, შევძლებ თუ არა ამ პრობლემების რეალურ გადაწყვეტას, არჩევანსაც მაშინ გავაკეთებ. ტყუილ დაპირებებს მე ვერავის მივცემ.

**— და თუ მაინც დადებითად გადაწყვეტთ ამ საკითხს, „ქრისტიან-დემოკრატების“ სიით გახვალთ? რატომ აირჩიეთ ეს პარტია?**

— დიახ, მერის არჩევნებში მონაწილეობას „ქრისტიან-დემოკრატების“ ეგიდით მივიღებ. ჩვენი ხედვა და პლატფორმა ერთმანეთს ემთხვევა. მე ვიზიარებ იმ ღირებულებებს, რასაც „ქრისტიან-დემოკრატები“ აღიარებენ. გაწონასწორებულობა და პოლიტიკური სიმშვიდე, რომელიც „ქრისტიან-დემოკრატებს“ ახასიათებთ, ჩემთვის მისაღებია, იმიტომ, რომ ეს არის საქმეზე ორიენტირებული პროცესი, ჩვენ კი ხელი უნდა შევუწყოთ ისეთ პროცესს, რომელიც საზოგადოების გაერთიანებისკენ იქნება მიმართული და არა დაშლისკენ. ეს ხედვა ჩემთვის მისასალმებელია.

**— თვითონ სუფსის ენერგოპროექტი რამდენად არის კავშირში მერის არჩევნებთან? იმ შემთხვევაში, თუ მაინც გადაწყვეტთ არჩევნებში მონაწილეობას და გაიმარჯვებთ კიდეც, როგორ ხედავთ ამ პროექტის განხორციელების გზას თბილისის მერის რანგში? ხომ არ იქნება ეს თანამდებობა ხელისშემშლელი ფაქტორი ამისათვის?**

— რა თქმა უნდა, ასეთი კავშირი არსებობს, თუმცა არჩევნებში შესაძლო მონაწილეობა და მით უფრო გამარჯვება არათუ უარყოფითად აისახება პროექტის განხორციელებაზე, არამედ პირიქით, წაადგება კიდეც მას. საქმე ის არის, რომ მსგავს პროექტს საკმაოდ დიდი ინვესტირება სჭირდება და თუ საჭირო ნდობას გამოუცხადებენ პიროვნებას, ამ შემთხვევაში — გია ჭანტურიას, რომელიც არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას, რა თქმა უნდა, ეს იქნება ნდობის გამოცხადება პროექტისადმიც და გარანტიები იმ ინვესტორებისთვის, რომლებმაც ამ პროექტში ფული უნდა ჩადონ.

**— როგორ აფასებთ თქვენს შანსებს ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნებში?**

— ამ წუთში ვერაფერს გეტყვით იმის თაობაზე, თუ როგორ ვაფასებ შანსებს. შეხვედრებს იმიტომაც ვმართავ, რომ დავინახო, რა არის გასაკეთებელი, რამდენად შევძლებ მე ამის გაკეთებას, ჩემი შანსებიც ამის მიხედვით შევაფასო და შედეგად მივიღო დადებითი ან უარყოფითი გადაწყვეტილება. ეს ადვილი არ არის. ვინც წინასწარ აფასებს თავის შანსებს, ძალიან ცდება, ვინაიდან, შანსები იმაზეა დამოკიდებული, რას შესთავაზებ შენს ამომრჩეველს, შენს ხალხს, რამდენად რეალურად დაინახავ მათ პრობლემებსა და ამ პრობლემების გადაწყვეტის რეალურ გზებს. ჩემთვის ყველაზე მთავარი ადამიანების ნდობაა, შანსები კი ამ შემთხვევაში უმნიშვნელოა. თუ ადამიანები გენდობიან, მაშინ უნდა გააკეთო ის, რასაც დაჰპირდი და არ უნდა დაჰპირდე იმას, რასაც ვერ გააკეთებ.

**— რა მიზანს ემსახურებოდა თქვენი ბოლო ვიზიტი აშშ-ში და რამდენად შეესაბამება სიმართლეს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ვაშინგტონში გიორგი თარგამაძესთან ერთად იყავით?**

— გიორგი თარგამაძესთან ერთად ამერიკაში არ ვყოფილვარ. ამერიკაში ბოლოს შარშან ვიყავი. თარგამაძესთან ერთად აშშ-ში, ვფიქრობ, თებერვლის ბოლოს ან მარტის დასაწყისში წავალ და ამ ვიზიტის მიზანი საქართველოსთან დაკავშირებული საკითხების კიდევ ერთხელ განხილვა იქნება, კერძოდ, საქართველოსთვის რისკფაქტორების შესამცირებლად მხარდაჭერის თხოვნა, აქტიური მხარდაჭერის მოპოვება ენერგოპროექტების მხარდაჭერის და ყველა სხვა იმ პრობლემის კუთხით, რომელიც საქართველოს უსაფრთხოებას და მის გარანტიებს უკავშირდება.

**— რამდენადაც ვიცი, თქვენ ძალიან კარგი ურთიერთობა გაქვთ ალიევის მთავრობასთან. ამბობენ, რომ ამ მხრივ შეიძლება, პრეზიდენტ სააკაშვილს და ამჟამინდელ ხელისუფლებას ურთიერთობების გაუმჯობესების თვალსაზრისითაც წაადგეთ...**

— ვადასტურებ, რომ აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი ჩემი მეგობარია, მის მთავრობასთან კარგი ურთიერთობა მაქვს და აზერბაიჯანს უდიდეს პატივს ვცემ. სხვათა შორის, მე ვიყავი საქართველოს პირველი ელჩი აზერბაიჯანში და უნდა გითხრათ, რომ ის პროექტები, რომლებიც ჩვენ ამ ქვეყანასთან ერთად განვახორციელეთ, უკვე ადგება საქართველოს. აზერბაიჯანი ძალიან ბევრს აკეთებს იმისთვის, რომ საქართველოს რაც შეუძლია, დაეხმაროს. უსაფრთხოების გარანტიები, რომლებიც ჩვენ ამ პროექტებისთვის მივიღეთ, სწორედ აზერბაიჯანთან ერთად არის მოპოვებული. ასე, რომ, მე ვფიქრობ, პერსპექტივაში ამის გათვალისწინება შეიძლება.

საერთოდ, არამარტო აზერბაიჯანთან, ყველა ჩვენს ახლო მეზობელთან ურთიერთობა ძალიან მნიშვნელოვანია. ძალიან მნიშვნელოვანია იგივე ყაზახეთის ფაქტორი, როგორც ნავთობმომპოვებელი ქვეყნისა, ასევე თურქმენეთი, უზბეკეთი, კასპიისპირა და შავი ზღვის აუზის ქვეყნები (რუმინეთი, ბულგარეთი, უკრაინა, მოლდოვაძ. ამ ქვეყნებთან საკმაოდ მნიშვნელოვანი პარტნიორობა გვექნება, როცა ამ პროექტს განვახორციელებთ.

**ნინო ჩიჩუა**

◎ ვინ — ვის?

# რუსეთი — ატომური იარაღის მფლობელი ბურკინა ფასო თუ კვლავ ამერიკის საპირწონე ზესახელმწიფო?

**როცა აშშ-მ ჭაობიდან ამოსათრევად წელზე გამოიბა ატომური იარაღის მქონე ბურკინა ფასოდ მონათლული და იმ დროს უკვე საკვებ ტალონებზე გადასული რუსეთი, ერთ-ერთ წერილში ვწერდი, რომ იგი სიამოვნებით გადაყლაპავს „პოდაჩკებს“ და შემდეგ მომძლავრებული იმავე აშშ-ს მიუბრუნდება-მეთქი. ისე ყველაფერი კარგი აგიხდეთ, — „პოდაჩკებით“ რუსეთს არც დამშეული მოსახლეობა გამოუკვებია და არც ეკონომიკური პრობლემები მოუწესრიგებია, — მან ის იდეა გამოკვება, რომელსაც ეწირება საკუთრივ რუსული მოსახლეობის ინტერესები და რუსეთის პროგრესული, ცივილიზებული განვითარების შესაძლებლობა.**

„ნუთუ მართლა ბრუნდება დრო, როცა რუსეთი პატარა ნაბიჯებით, მაგრამ იბრუნებს ზესახელმწიფოს სტატუსს და ყოფილი საბჭოთა კავშირის კონსოლიდაციის ცენტრი ხდება?!“ — კითხულობენ შეშფოთებული ექსპერტები და მსოფლიოს გამოფხიზლებისაკენ მოუწოდებენ.

ამ საშიშროების შესახებ ამერიკული ორგანიზაცია „სტრატიჯიკ ფორკასტინგი“ (შემოკლებით „სტრატფორი“ძ საუბრობს, რომელსაც ამერიკული პრესა ჩრდილოვან ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოდ ნათლავს. „90-იან წლებში ამერიკის მთავრობას სრულიად აწყობდა სუსტი რუსეთის იდეა. 2000 წლისათვის კი, სამხედრო მოქმედებებმა ავღანეთსა და ერაყში იმდენად დაასუსტა ამერიკის სამხედრო პოტენციალი, რომ მოსკოვს საშუალება მიეცა გაეძლიერებინა თავისი გავლენა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებზე. 2010 წელი რუსეთისთვის კონსოლიდაციის და ხელისუფლების მხრიდან ძალისხმევის კულმინაციურ წერტილამდე მიყვანის წელი იქნება. მოსკოვი მოახერხებს იმ გავლენის ლიკვიდირებას, რაც დასავლეთს და თურქეთს უკრაინაზე, ყაზახსტანზე, ბელორუსიაზე, აზერბაიჯანსა და სომხეთზე ჰქონდა. რუსეთი ამ წელს შეეცდება სათავე დაუდოს პოლიტიკურ გაერთიანებას პოსტსაბჭოთა სივრცის დიდ ნაწილზე. ყოველგვარი მცდელობა — ხელი შეუშალონ ამ პროცესებს, მოითხოვს კოლოსალურ ძალისხმევას“ — ნათქვამია ორგანიზაციის მოხსენებაში. უფრო მეტიც, იმ ჩამოთვლილ ქვეყნებში, რომელზე გავლენასაც რუსეთი აძლიერებს, აშშ-მ კი შეიძლება დაკარგოს, „სტრატფორი“ ასახელებს არამარტო ტრადიციულ უკრაინას, ბელორუსიას, ყაზახსტანს, აზერბაიჯანსა და სომხეთს, არამედ თურქეთსაც. ამერიკელები აღიარებენ თურმე, რომ რუსეთისათვის ამ ტერიტორიების კონტროლქვეშ აყვანაში ხელის შეშლა ძალზე რთული იქნება.



ამგვარი, ჩვენთვისაც შიშისმომგვრელი განცხადებებით, რომლებიც, რუსი ექსპერტების აზრით, შიდა ბაზარზეა გათვლილი და ამერიკის ინერტულ საზოგადოებაში პანიკის დათესვას ემსახურება, ბარაკ ობამას მოსკოვთან ფლირტის გამო შეწუხებული პოლიტიკოსები რიგით ამერიკელებს აშინებენ თურმე. ეფექტური პოლიტიკის ფონდის გენდირექტორის კირილ ტანაევის აზრით კი, მართალია რუსეთი აძლიერებს თავის პოზიციებს, მაგრამ იმის თქმა, რომ იგი პოსტსაბჭოთა ქვეყნების სუვერენიტეტისთვის ზიანის მოტანას მოახერხებს, არასწორია. უფრო მეტიც, ამგვარი ზიანის მოტანა, ტანაევის აზრით, სწორედ დასავლეთის და აშშ-ს მხრიდან უხეშ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ჩარევას მოაქვს ამ ქვეყნებისთვის და ეს პირდაპირ აისახება მათ სტაბილურობაზე. ექსპერტ ოლგა კრიშტანოვსკაიას აზრით, მართალია საუბარი არაა სსრკ-ის აღდგენაზე, მაგრამ რუსეთი მაინც ინტეგრაციის კურსს გააგრძელებს და ეცდება, რომ უკრაინა, და შესაძლოა, საქართველოც გამოიყვანოს ამერიკის და ევროკავშირის გავლენის სფეროდან და კვლავ რუსეთს დაუახლოვოს. ამ მოხსენების მთავარ მიზნად მას, ჯერ ერთი, ამერიკელ პოლიტოლოგთა მცდელობა ესახება, — „დააბან და დაამაგრონ“ რუსეთი ყოფილ პოსტსაბჭოთა სივრცეზე, და მეორეც, — გაამართლონ მათ მიერ მანამდე გამოქვეყნებულ მოხსენებაში — **„რუსეთის დაშლა, როგორც დასავლეთის რეაქცია მოსკოვის პოზიციების გაძლიერებაზე ყოფილ პოსტსაბჭოთა სივრცეში“, გაკეთებული სკანდალური პროგნოზი.**

**ყველა ამ პროგნოზიდან ჩვენ რა დასკვნა უნდა გავაკეთოთ, — აი, ესაა საკითხავი და კიდევ ის, გვეყოფა თუ არა ნებისყოფა შევინარჩუნოთ სტაბილურობა და სიმშვიდე ამ პოლიტიკურ „აიწონა-დაიწონაში“.**

**ქეთი ჯაყელი**

ტურისტის აზრი

# ქვეყანა მშვენიერი გაქვთ, მომსახურება კი...

## „ტავ-ჯორჯია“ – მმართველიც და მონოპოლისტიც

**გუშინ სტამბოლს მიმავალი მეგობარი თბილისის აეროპორტიდან გავაცილე. ვიდრე ის ხელბარგს აბარებდა, მომენტით ვისარგებლე და მოსაცდელი დარბაზის კუთხეში ჩამომჯდარ უცხოელ ტურისტს გამოველაპარაკე. ავსტრიელი აღმოჩნდა, დამტვრეული რუსულით მაგებინებდა თავის სათქმელს.**

— ამ შუა ზამთარში რამ გადაგაწყვეტინათ საქართველოში მოგზაურობა-მეთქი-ვკითხე.

— თხილამურების ტრფიალმაო, მიქეზდნენ საქართველოში მშვენიერი სათხილამურო ტრასები აქვთო და მართალი აღმოჩნდაო.

— ბაკურიანში იყავით თუ გუდაურში? — დავინტერესდი.

— ორივეგან და მოხიბლული დავრჩი, არაჩვეულებრივი ბუნებრივი მონაცემები აქვს ქვეყანას სათხილამურო სპორტისა და, შესაბამისად, ტურიზმის განვითარებისთვის.

— მისტერ სტივენ (ამ სახელით გამეცნოძ მიხარია, რომ კმაყოფილი ხართ. ქართული სამზარეულოც თუ მოგეწონათ?

— რა თქმა უნდა, მომეწონა, მადისაღმძვრელი ეროვნული კერძები გაქვთ, აი მომსახურება კი, ევროპულთან შედარებით, აშკარად მოიკოჭლებს. გინდაც თქვენი აეროპორტი ავიღოთ, აქ განსაკუთრებულს არაფერს გიკეთებენ, მოსაკრებელს კი საკმაოდ სოლიდურს მართმევენ.

— მაინც რამდენს?

— თითოეულ მგზავრზე 19 ევროს. ეს საკმაოდ ძვირია, წარმოიდგინეთ, ევროპულ ტარიფსაც კი აღემატება...

ამას რომ ვისმენდი, გამახსენდა, ამას წინათ ბაკურიანში მყოფი პრეზიდენტის შეშფოთებული სახე, რაც თურმე ტურისტების სიმცირემ გამოიწვია. **„თბილისის აეროპორტის ტარიფები მკვეთრად აძვირებს ბილეთებს, თქვა მიხეილ სააკაშვილმა, ჩვენ თურქი ინვესტორების კმაყოფილი ვართ, მაგრამ ჯერჯერობით ტარიფების შემცირების საკითხზე ვერ შევთანხმდითო“,** — დაიწუწუნა ბოლოს.

მხოლოდ ტარიფების სიდიდით არის პრეზიდენტი უკმაყოფილო, თორემ სხვა მხრივ თურქი ინვესტორები თურმე ისე გამართულად მუშაობენ, რომ კაცი წუნს ვერ დასდებს. ყოველ შემთხვევაში სააკაშვილის ნათქვამიდან ასე გამოვიდა. მას რატომღაც არ გაახსენდა, იმავე ინვესტორების აშენებულ აეროპორტს რამდენჯერ გადახადა ქარმა სახურავი, რამდენჯერ დააჟია წვიმამ ქართული მოულოდნელობით განცვიფრებულ-გამწარებული მგზავრები. სამაგიეროდ, ეს ყველაფერი კარგად ახსოვთ თბილისის აეროპორტის „სუპერმომსახურებით“ ნასიამოვნებ შინაურ თუ უცხოელ ტურისტებს.

პირადად მე და ჩემთან ერთად, ალბათ, ბევრ სხვასაც ახსოვს, ის ხოტბა-დიდება, რაც პრეზიდენტმა სააკაშვილმა თბილისის აეროპორტის მშენებლებს შეასხა. ასეთი დიდებული, ულტრათანამედროვე დიზაინისა და უმაღლესი მომსახურების დონის მქონე აეროპორტი მთელ მსოფლიოში მეორე არ მოიძებნებაო — გვარწმუნებდა მაშინ ქვეყნის თავკაცი.

ეს მაშინ, მაგრამ დღეს რა ხდება? მაინც და მაინც სასიამოვნო არაფერი. საქართველოს ხელისუფალთა „გონიერების წყალობით“, **თურქულმა კომპანია „ტავ-ჯორჯიამ“ სამშენებლო კომპანია „ურბანთან“ ერთად არა მარტო აგვიშენა ეს „უბრწყინვალესი“ აეროპორტი, მისი 20 წლით მართვის უფლებასაც გამოჰკრა ხელი. ნათქვამია, მადა ჭამაში მოდისო და უვე გაღვივებული მადა რომ არ დამუხრუჭებოდა, 2007 წელს „ტავ-ჯორჯიას“ ბათუმის აეროპორტიც გადაეცა. ამით ხელისუფლებამ ფაქტობრივად დაბლოკა ქუთაისის აეროპორტი და „ტავ-ჯორჯიას“ ბაზარზე ერთპიროვნული მონოპოლისტობის პასპორტი უბოძა.**

ჰოდა, ყოველივე ამის შემდეგ, რა გასაკვირია, რომ თურქულმა კომპანიამ მისთვის ბოძებული უფლებები მაქსიმალურად გამოიყენა. მან საქართველოში თავის მმართველობის ორბიტაში მოქცეულ აეროპორტებში ხელოვნურად გაზარდა სამომხმარებლო მოსაკრებლის თანხა, რათა სტამბოლისა და იზმირის აეროპორტები („ტავ-ჯორჯია“ მათი მფლობელიც გახლავთძ რაც შეიძლება მეტად დაეტვირთა. ეს აშკარად არაკონკურენტული მდგომარეობა არაერთგზის გაუპროტესტებიათ ავიაკომპანია „აირზენას“ და სხვებს, მაგრამ ვინ შეისმინა? არავინ.

არადა ხელისუფლება სულ სხვა მიზანს ისახავდა. ის „ტავ-ჯორჯიას“ ავალდებულებდა, მოკლე პერიოდში თბილისის აეროპორტში მგზავრების რაოდენობა იმდენად გაეზარდა, რომ ის ამ რეგიონში ლიდერ კომპანიად ექცია. მოხდა კი საწინააღმდეგო — **თბილისის აეროპორტში მგზავრთა და ტურისტთა ოდენობა დღითი დღე მცირდება, სტამბოლსა და იზმირში კი იზრდება. მიზეზი, როგორც ექსპერტები ასკვნიან, გაზრდილი ტარიფები და დღევანდელი მომსახურება გახლავთ.**

ამას, როგორც უკვე ვთქვი, თურქული კომპანიის ქართველი მეხოტბე — ბატონი მიხეილ სააკაშვილიც ველარ მალავს, თუმცა იხტიბარს მაინც არ იტეხს და სურს ტვინი მორიგი ილუზიით გამოგვიტენოს. მისი თქმით, ახლო მომავალში ფოთში აშენდება ულტრათანამედროვე აეროპორტი, საიდანაც მგზავრობის მოყვარული ტურისტები ავტობანებზე მქროლავი ტრანსპორტის მეოხებით რაღაც 40 წუთში აღმოჩნდებიან ჭუბერისა და მესტიის თვალწარმტაც სათხილამურო ტრასებზე, რომლებიც კეთილმოწყობითა და მომსახურების დონით თუ არ აჯობებენ, არაფრით ჩამოუვარდებიან შვეიცარიისას.

თუმცა, ერთი საყურადღებო მომენტი მაინც გამორჩა პრეზიდენტს — არ უთქვამს, რომ ქართული ტურიზმის მეზაირახტრე ხელისუფლება ფოთის აეროპორტსაც „ტავ-ჯორჯიას“ ააშენებინებს და მერე სამართავად მასვე გადასცემს.

გამორჩა კი?!..

**ოთარ ხუციშვილი**



წერილი რედაქციას

## ვულოცავთ პირველ ლაურეატებს!

ამ დღეებში ცნობილი გახდა დავით აღმაშენებლის სახელობის სრულიად საქართველოს ისტორიულ-ლიტერატურული პრემიის პირველი ლაურეატების სახელები, კონკურსის ნომინაციებში გამარჯვებულები და კონკურსის სპეციალური პრიზით დაჯილდოებულები.

მადლობა ეთქმის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციას, რომელმაც ღირსეულად წარმოაჩინა დაჯილდოებულთა ღვაწლი. ფართო საზოგადოება, ეჭვს გარეშეა, გულისყურით გაეცნობა გაზეთის 30 იანვრის ნომერს და კმაყოფილებას გამოხატავს.

ყველასთვის ცნობილია, რომ პრემია „დავით აღმაშენებელი“ დააფუძნა პეტერბურგელმა ბიზნესმენმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ბატონმა **ალექსანდრე ებრალიძემ** და საკუთარი სახსრებით შექმნა ფულადი ფონდი პრემიით დაჯილდოებულთათვის. ჩვენ წარსულში გვყავდა და დღესაც გვყავს ცნობილი ქველმოქმედი-მეცენატები, რომლებიც უანგაროდ, გულის კარნახით და ქვეყნის სიყვარულით აკეთებდნენ ეროვნულ საქმეს. შეიძლება გავიხსენოთ **დავით სარაჯიშვილი, აკაკი ხოშტარია,** დღეს **ბიძინა ივანიშვილი,** ცნობილი მომღერლის და საზოგადო მოღვაწის **პაატა ბურჭულაძის** მისაბაძი მოღვაწეობა და ბევრი სხვა. ყველანი სხვადასხვა ფორმით და ნაირსახეობით გამოხატავდნენ და გამოხატავენ თავიანთ ეროვნულ-პატრიოტულ ძალისხმევას.

ბატონმა ა. ებრალიძემ კი, საქველმოქმედო მოღვაწეობისთვის სხვებისაგან განსხვავებული, მეტად ორიგინალური გზა გამოძებნა, დააარსა დიდი მეფის — დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული პრემია. საამაყოა ასეთი საპატიო პრემიის ლაურეატი იყო!

ვულოცავთ და ღრმა პატივისცემას გამოვხატავთ დავით აღმაშენებლის პრემიის პირველი ლაურეატების, ყველა დაჯილდოებულის მიმართ!

ნათქვამია — ვინც რა უნდა თქვასო, წისქვილმა კი ფქვასო. დაე, მარად ეფქვას დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნულ-პატრიოტულ წისქვილს.

პატივისცემით —

**ნუგზარ ავალიანი, თემურ სამნიძე,**
**აკაკი ალანია, მზია ჯანელიძე, გივი გურეშიძე**

თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, 3 თებერვალი, 2010 წ.

გულის ბუხარი

# შემოდგომის ბუზის სინდრომი?

## პრეზიდენტს პროვიზორობაც „უსტავლია“?..

**— აბა, კაცო, შენ ეგა თქვი, რა აკურატულად, მთლად აფთიაქარივით ბეჯითად არ ამოალაგა ჩანთიდან წამლები?.. მერედა, როგორ აკვირდებოდა, თანაც ხუთი თუ ექვსი ცალი ეყოფაო თითო ოჯახს, რაც მთავარია, შარდმდენი არ გამორჩა.**

— არითმეტიკაშიც გაწაფულა, 100 ლარისა ეყოფაო თითო ავადმყოფს. ისე მამა უცხონდა, აბა ის ათასობით დასახელების წამლით რომაა აფთიაქები გამოტენილი? ექიმამდე თუ მიაღწიე, ბარე ოცს რომ გამოგიწერს?

— ანგარიში თუ იცის, მაშინ ის გვითხრას, ჩვენი მათხოვრული პენსია, შუქის, გაზისა და წყლის ხარჯს რომ ველარ ფარავს, ყველაფრისთვის როგორ ვიმყოფინოთ? ჭამა ჩვენ არ გვინდა თუ?

— ამ ერთი თვის წინათ რომ შეიტყო, თურმე წამლებს ცეცხლი უკიდიაო და ვითომ დაუცაცხანა იმ „ავერსს“ თუ სხვა აფთიაქებს. მერე რა, ფეხებზეც არ დაიკიდეს? ერთი თეთრიც არ დაუკლიათ, ამჯერად ის არც გახსენებია.

— ისე კი მაგრა ფაფხურობს, ხან დაციგურაობს, ხან გეოგრაფიას გვასწავლის...

ქუჩაში გამოყრილი ნამეტალურგალი თუ ყოფილი ქიმიკოსი, მშენებელი, მეცემენტე, იმხანად ოქროსხელიანებად მონათლული პროფესიონალები, ახლა ზოგი ნამდვილი, ზოგი ნაადრევი უპენსიო პენსიონერები, ოთახებში რომ არ ამოიგუდონ, ხან სად შეიკრიბებიან, ხან — სად, თვალს წყალს ალევინებენ, ერთმანეთს აზრს უზიარებენ, კამათობენ...

ჰოდა, პრეზიდენტის ჯიბის ტელევიზიებიდან წინა დღით მიღებულ ინფორმაციებს თავისებურად განსჯიან. ასე რომ, ჩემი კოლეგის ვილენ მარდალეიშვილის ბაღის პარლამენტის ფილიალი ლამის ყველა ქალაქშია, მათ შორის რუსთავშიც. აი, სოფლებისა რა მოგახსენოთ...

ისე კი შემოდგომის ბუზის სინდრომი მართლაც რომ სასწაულია. თუ გახსოვთ, ბატონი ედუარდი, წყალი რომ შეუდგა, რომელიღაც კერძო ფირმაში, ჯიშიან ძროხებს რქებს რომ უსინჯავდა, იმ ხანად მეტალურგიითაც დაინტერესდა. ქარხნის მაშინდელმა ხელმძღვანელმა, აქაოდა, გაჩერებულები არ ვეგონოთო, მარტენის ღუმელში საბურავები შეყარეს, ცეცხლი წაუკიდეს და მილებიდან კვამლი ააფუილეს. წვრილ სორტულ საამქროში ჟანგიანი არმატურები დაულაგეს, ხომ ხედავთ, პროდუქციას ვუშვებთო. პრეზიდენტმაც ისიც ხელით გასინჯა და ტელეოპერატორებმაც უმალ დააფიქსირეს.

**იმხანად ერთი, მილსაგლინავი საამქრო მაინც ასე თუ ისე, მუშაობდა. ახლა არც ის საამქრო, არც 8 მარტენის ღუმელი... კიდევ ბევრი წარმოებაც პირწმინდად აღიგავა პირისაგან მიწისა...**

**სააკაშვილსაც რაღაც იმდაგვარი სჭირს, დადის, დადის და თან დასდევს მისი ტელეჟურნალისტების ლაშქარი, ისიც გვაბოლებს და გვაბოლებს.**

ახალ კერძო საავადმყოფოებს აგიშენებთ, წამლებზე 50 პროცენტ ფასს დაგიკლებთ, დაგაზღვევთო, შარშან 5-ლარიანი დაზღვევის ფულები რომ აიკრიფა, ის კი დაავიწყდათ, ვითომ არაფერიო...

ქვეყანა რომ ილუპება, იქცევა, ერი ნადგურდება, ამას რუსთაველიერელების გარდა ყველა ხვდება! მაგრამ გამკითხავი ვინაა.

პრეზიდენტს მრეწველობა, ჩვენი დაქცეული სოფლები არც ახსენდება, თითქოს არც არსებობდეს. სამაგიეროდ დაპირებებს უხვად არიგებს — აქე, ვირო, გაზაფხულზე იონჯა მოვაო.

**ისე შემოდგომის მოსვლის სინდრომი რომ ჩანს, წყალი არ გაუვა, აი ოპოზიცია... თუმცა, ხალხმა ვერც იმისი გაიგო რა, და ვერც ის, ვინ ვის თამაშს თამაშობს, არადა რუსთავიდან ათასობით ადამიანი დადიოდა ოპოზიციის მიტინგებზე, ლუკმას იზოგავდნენ და გზაში ხარჯავდნენ ფულებს, იქნებ რამე გვეშველოსო.**

**მაინც ვისი მოიმედენი უნდა ვიყოთ, ბატონებო!**

**გივი ჯახუა**
რუსთავი-თბილისი

ინფორმაცია

## ქარიშხალმა ბათუმში თოთხმეტსართულიანი სახლი ჩამოანგრია

ოთხი ადამიანი, მათ შორის ორი მცირეწლოვანი ბავშვი დაშავდა ბათუმში 14-სართულიანი სახლის ორი სართულის ჩამონგრევის გამო.

ძლიერი ქარიშხლის შედეგად, ჭავჭავაძისა და ჯაფარიძის ქუჩების კვეთაზე მშენებარე 14-სართულიანი სახლის ორი სართული ჩამოინგრა, რომელმაც იქვე მდებარე ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი დააზიანა.

ორსართულიან სახლი, სადაც 15-მდე ოჯახი ცხოვრობს, მნიშვნელოვნად დაზიანდა. მოსახლეობამ სახლებიდან გამოსვლა დროულად მოახერხა. ოთხი ადამიანი სხვადასხვა სიმძიმის დაზიანებით საავადმყოფოში არიან გადაყვანილნი.

დაშავებულები აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ ლევან ვარშალომიძემ მოინახულა, რომელმაც შემთხვევის ადგილიც დაათვალიერა და მოსახლეობას ზარალის ანაზღაურებას დაჰპირდა.

ჯი-ეიჩ-ენი

ქ. თბილისის №4 საჯარო სკოლა აცხადებს კონკურსს უზუფრუქტის ხელშეკრულებით დამტკიცებული სკოლის შენობის 300 კვ.მ. ფართის იჯარით გადასაცემად საბითუმო საქონლის საწყობისათვის, ასევე 207 კვ.მ. ფართი სპორტული წრის ფუნქციონირებისათვის. 300 კვ.მ. ფართზე 1 კვ.მ-ის მინიმალური საკონკურსო ფასია – 4 ლ. 207 კვ.მ. ფართზე 1 კვ.მ-ის მინიმალური საკონკურსო ფასი – 4.2 ლ. საიჯარო ურთიერთობის მაქსიმალური ვადაა 25 წელი.

განცხადებები მიიღება გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში №4 საჯარო სკოლის დირექციაში.

დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ: №4 საჯარო სკოლა. მის. დადიანის №19, ტელ. 899 29 81 06. დირექტორი ნინო ზურაბიშვილი.

◉ გამოიცა

# როგორ დავამსხვრიოთ სტერეოტიპები

## წიგნი, რომელიც უთუოდ დაეხმარება სამხრეთ კავკასიელ ხალხებს ერთიანობისთვის ხელშემშლელი სტერეოტიპების მსხვრევაში

***„სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ისტორიის ნარკვევების“ გამოცემასთან დაკავშირებით ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი პაატა რამიშვილი ჩვენს კორესპონდენტს ესაუბრება.***



**— ბატონო პაატა, ეს მართლაც საჭირო და საინტერესო წიგნი სულ ახლახან გამოიცა. მკითხველისთვის საინტერესოა, როგორ მოხერხდა ამ არც თუ ისე იოლი პროექტის განხორციელება?**

— სომხურმა გამომცემლობამ „ედიტ პრინტმა“ 2009 წლის დეკემბერში ერევანში რუსულ ენაზე გამოსცა ეს წიგნი. ამ პროექტის კოორდინირება და განხორციელება ითავა სომხურმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ „გლობალიზაციისა და რეგიონული თანამშრომლობის ანალიტიკურმა ცენტრმა“ (ხელმძღვანელი — პოლიტოლოგი სტეპან გრიგორიანი) ფონდ „კარიტას საფრანგეთის“ მხარდაჭერით. მათ გარდა, ნარკვევების მკითხველამდე მიტანაში დიდი წვლილი შეიტანა ფონდმა „კარისტას საქართველო“ და აზერბაიჯანულმა ორგანიზაციამ „აზერბაიჯანის ისტორიკოსების საზოგადოებრივი გაერთიანება“.

საინტერესოა, რომ ამ პროექტს თავისი მეტად ორიგინალური წინაისტორია აქვს.

ამ ათიოდე წლის წინათ, ევროპის საბჭოს მე-4 დირექტორატის ინიციატივით, რომლებიც ძირითადად სასკოლო და უმაღლესი განათლების პროგრამებს ხელმძღვანელობს, წამოაყენა იდეა, შექმნილიყო დამხმარე სასკოლო სახელმძღვანელო ისტორიაში სათაურით „კავკასიის ისტორია“. ეს კი, უწინარესად, ითვალისწინებდა კავკასიის ქვეყნების მოსწავლე ახალგაზრდობისთვის (აზერბაიჯანულ, სომხურ, ქართულ და რუსულ ენებზეძ და, ამასთანავე, მათი დასავლელი თანატოლებისათვის (ინგლისურ ენაზეძ მკაფიო წარმოდგენა შეექმნა სამი მეზობელი სახელმწიფოს: აზერბაიჯანის, სომხეთისა, საქართველოს და აგრეთვე ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების ისტორიის, კულტურისა და ყოფის შესახებ.

მომავალ სახელმძღვანელოს რელიფიურად უნდა გამოეკვლია ის ფაქტი, რომ კავკასიის ხალხებს ისტორიულად საერთო მეტი აქვთ, ვიდრე სადავო და გასაყოფი, რომ ამ რეგიონში სავსებით შესაძლებელია მშვიდობიანი თანაარსებობა და თანამშრომლობა. პროექტს ევროპის საბჭოს მე-4 დირექტორატმა „თბილისური ინიციატივა“ უწოდა და მის განსახორციელებლად მოიწვია ისტორიკოსთა 2-3-კაციანი ჯგუფები ამიერკავკასიის თითოეული ქვეყნიდან და რუსეთის ფედერაციიდან, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებს წარმოადგენდა. 2003 წლისთვის პროექტი ფაქტობრივად დასრულდა, მაგრამ მომზადებული მასალა ვერ გამოიცა ფინალურ ეტაპზე სომეხ და აზერბაიჯანელ ისტორიკოსებს შორის წარმოშობილი დავის გამო: ჩართულიყო თუ არა დამხმარე სახელმძღვანელოში სომხური გენოციდის და ბაქოში, 1918 წელს, სომხების მონაწილეობით 15.000 აზერბაიჯანელის ამოხოცვის საკითხი. ევროპის საბჭო, რომელსაც თავიდანვე სურდა თავი აერიდებინა ამგვარი ტიპის პრობლემის წინ წამოწევისაგან, ცხადია, დაადგა მოდავე მხარეებთან არაფრისმომცველი მოლაპარაკების პოლიტიკას, რამაც, საბოლოოდ, ჩიხში შეიყვანა ეს პროექტი.

**— მაშ როგორ გახდა შესაძლებელი ფაქტობრივად ლამის ჩავარდნილი პროექტის ხელახალი აღორძინება?**

— 2007 წლის ნოემბერში ზემოხსენებული „გლობალიზაციისა და რეგიონული თანამშრომლობის ანალიტიკური ცენტრის“ და მისი პარტნიორების „კარიტას საქართველო“ და „აზერბაიჯანის ისტორიკოსების საზოგადოებრივი გაერთიანების“ ინიციატივით შედგა სამუშაო შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სამხრეთ კავკასიის საზოგადო მოღვაწეებმა და ისტორიკოსებმა. მათ შორის იყვნენ ის ისტორიკოსები, რომლებმაც წლების წინათ ერთობლივად იმუშავეს არშემდგარ პროექტზე „კავკასიის ისტორია“. სამუშაო შეხვედრის მონაწილეებს გაუჩნდათ იდეა, აღედგინათ შეწყვეტილი თანამშრომლობა „კავკასიის ისტორიის“ პროექტზე და ახალი ფორმატით გამოეცათ ამჯერად უკვე ნარკვევები სამხრეთ კავკასიის ისტორიასა და კულტურაზე. ახალი პროექტის მონაწილე ისტორიკოსები საწყის ეტაპზევე შეთანხმდნენ, რომ მომავალ პუბლიკაციაში წარმოედგინათ საკუთარი ისტორიის სამი, ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ხედვა, ყოველგვარი შელამაზების და წინაპირობების გარეშე. შემთხვევითი არაა, რომ წიგნის საერთო სათაურს ახლავს მკაფიოდ განსაზღვრული ქვესათაური: ისტორიის მრავალპერსპექტიული ხედვა. ამგვარ პირობებში მუშაობამ რეალური შედეგი გამოიღო და, როგორც ხედავთ, წიგნი გამოიცა.

**— ამის გათვალისწინებით, ალბათ, გარკვეულწილად ნაწილობრივ ეთანხმებით ან საერთოდ არ ეთანხმებით თქვენი კოლეგების მიერ წარმოდგენილი მთელი რიგი ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების ინტერპრეტაციებს. ასეა?**

— დიახ, ასეა. წიგნში თუნდაც ერთსა და იმავე ისტორიულ ფაქტზე წარმოდგენილი თვალსაზრისები თითოეულ ნაკვეთში, უმეტესწილად სამი განსხვავებული ინტერპრეტაციითაა წარმოდგენილი. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი, სამი ქართველი ისტორიკოსის მიერ შექმნილი ნაკვეთები, მცირე გამონაკლისის გარდა, სამივე ქვეყნის ეროვნულ ისტორიაში მიღებული ოფიციალური თვალსაზრისის და დებულებების პოპულარული ენით დაწერილი ვერსიებია. აქვე მსურს დავამატო, რომ პროექტის შემდეგ ეტაპზე განზრახული გვაქვს, ცალკე წიგნად გამოვცეთ ვრცელი კრიტიკული რეცენზიები ერთმანეთის ვერსიებზე, რაც კიდევ უფრო ნათლად გამოკვეთს, რა მეცნიერულ დონეზეა ისტორიული აზროვნება და კრიტიკა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში თანამედროვე ეტაპზე.

**— რა შეგიძლიათ გვითხრათ წიგნის აგებულებაზე და ავტორებზე?**

— წიგნი ორი ძირითადი ნაწილისგან შედგება. პირველში წარმოდგენილია აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს პოლიტიკური ისტორია უძველესი დროიდან 1921 წლის, გასაბჭოების ჩათვლით. მეორე კი თემატური ნაწილების კრებულია, სადაც საუბარია დამწერლობაზე, ენასა და ლიტერატურაზე, განათლებაზე, კულტურის კერებზე, ადათ-წესებზე, ტრადიციებზე, სამზარეულოზე, სოფლის მეურნეობაზე, ვაჭრობა-ხელოსნობაზე, არქიტექტურაზე და ა. შ. აქვე მსურს აღვნიშნო, რომ სამივე ნაკვეთი ხელახლა აიწყო „ედიტ-პრინტში“ და, სამწუხაროდ, მრავალი კორექტურული შეცდომა გაიპარა. მაგრამ პროექტის კოორდინატორები გვპირდებიან, რომ მეორე გამოცემაში ყველა შეცდომა გასწორდება.

ორიოდე სიტყვა მინდა მოგახსენოთ წიგნის ავტორებზე. აზერბაიჯანის და სომხეთის ისტორიასა და კულტურაზე დაწერეს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორებმა, პროფესორებმა აიდინ ასლანოვმა და არმენ ხაჩიკიანმა, ხოლო საქართველოსი — მე.

**— ბატონო პაატა, რა ტიპის აუდიტორიისთვისაა ეს წიგნი გათვლილი და რა პრაქტიკული ღირებულება შეიძლება ჰქონდეს მას?**

— ეს წიგნი, უწინარესად, ფართო მკითხველისთვის დაიწერა ადვილ და გასაგებ ენაზე, რათა სამივე ქვეყნის ყველა მოქალაქეს მიეცეს საშუალება, რაც შეიძლება მეტი გაიგოს უახლოეს მეზობლებზე. თითქოს პარადოქსია, მაგრამ დღესდღეობით სამხრეთ კავკასიის ხალხებმა, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობამ, ძალიან ცოტა რამ იცის მეზობლების შესახებ და ისიც, უმეტესწილად, უარყოფით ასპექტში გააზრებული.

არადა, თუ გადავხედავთ ჩვენს ისტორიას, დადებითი და კეთილადმოსაგონარიც მრავლად მომხდარა ხანგრძლივი ისტორიული თანაცხოვრების მანძილზე. რუსული ვარიანტის გარდა, წიგნი უახლოეს მომავალში აუცილებლად დაიბეჭდება აზერბაიჯანულ, სომხურ და ქართულ ენებზე, რაც ქმედით დახმარებას გაუწევს სკოლის მასწავლებლებს, უკეთ გააცნონ თავიანთ მოსწავლეებს, თუ ისტორიის განვითარების რა გზა გაიარეს სამხრეთ კავკასიელმა ხალხებმა. დაგეგმილია წიგნის თარგმნა ინგლისურადაც.

და ბოლოს, უნდა მოგახსენოთ, რომ სამხრეთ კავკასიაში თანამედროვე პოლიტიკური რეალიების გათვალისწინებით, ნარკვევებს უდავოდ შეუძლია პოზიტიური როლის შესრულება არა მარტო უბრალო ხალხის, ისტორიკოსებისა და საზოგადო-პოლიტიკური მოღვაწეებისათვის, არამედ ზოგადად იმ სტერეოტიპების მსხვრევის საქმეში, რაც ასე მძლავრად უშლის ხელს სამხრეთ კავკასიის ხალხების ერთიანობას.

ესაუბრა
**ნატა ჩადუნელი**

◉ მედიცინა

# ავადმყოფის სრულ გამოჯანმრთელებას ჯეროვანი რეაბილიტაცია ესაჭიროება

**თანამედროვე პრაქტიკული მედიცინის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიღწევად უნდა მივიჩნიოთ ე.წ. აღდგენითი მკურნალობის, ანუ სამედიცინო რეაბილიტაციის განვითარება.**

სამედიცინო რეაბილიტაცია გადამწყვეტ როლს ასრულებს დაავადებულ და დაზიანებულ ორგანოთა სისტემების ფუნქციური მდგომარეობის სრულად ან ნაწილობრივ აღდგენაში, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ავადმყოფის, როგორც სიცოცხლის, ისე მისი შრომითი და სოციალური პრობლემების დადებითად გადაწყვეტის საქმეში.

სამედიცინო რეაბილიტაციის ქვეშ იგულისხმება მედიკამენტოზური, ქირურგიული, ფსიქოლოგიური და ფიზიკური რეაბილიტაცია. სწორედ ფიზიკური რეაბილიტაციის ღონისძიებათა (კინეზოთერაპია — სამკურნალო ვარჯიშები, მასაჟი, სხვადასხვა სახის დაჭიმვები აგრეთვე ფიზიკური ფაქტორებით მკურნალობაძ, დროულად ჩატარება საწინდარია იმისა, რომ ავადმყოფს დაუბრუნდეს შრომის უნარი ან არ ჩამოყალიბდეს ისეთი უნარშეზღუდულ ადამიანად, რომ ვერ შეძლოს თვითმომსახურების გაწევა. სწორედ ამიტომ ავადმყოფის რეაბილიტაციას და განსაკუთრებით ფიზიკური მეთოდებით აღდგენით მკურნალობას სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში აკადემიკოს ოთარ ღუდუშაურის დახმარებით, სამედიცინო რეაბილიტაციისა და სპორტული მედიცინის კათედრას ყოფილ რესპუბლიკურ ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოში გამოყოფილი ჰქონდა ჯერ 10, ხოლო შემდეგ 15 სარეაბილიტაციო საწოლი. სწორედ ამ პატარა განყოფილებაში ჩვენ მოვაწყვეთ სხვადასხვა ტიპის ავადმყოფებისთვის თანამედროვე რეაბილიტაციის სამსახური. ამ სტაციონარში ავადმყოფებს მედიკამენტოზურ მკურნალობასთან ერთად უტარდებოდათ ფიზიკური რეაბილიტაციის მთელი კომპლექსი, რაც ხშირად ფანტასტიკურ შედეგებს გვაძლევდა. კათედრის ამ განყოფილებამ განაპირობა აღდგენით მკურნალობაში რეაბილიტოლოგების ძალიან დიდი ჯგუფის დახელოვნება, რომელთა გარკვეული ნაწილი დღესაც წარმატებით, მაგრამ ინდივიდუალურად მუშაობენ უკვე კომერციულ სტრუქტურებში.

რა მდგომარეობაა დღეს, კერძოდ, ავადმყოფთა და უნარშეზღუდული ადამიანების ფიზიკური რეაბილიტაციის მხრივ? შეიძლება პირდაპირ ითქვას, რომ ნებისმიერ სტაციონარში ამ მიმართულებით მუშაობა თითქმის არ ტარდება. მიზეზი — არსებული ეკონომიკური მდგომარეობის გამო ექიმი ცდილობს რაც შეიძლება მალე გაწეროს ავადმყოფი საავადმყოფოდან ისე, რომ მას ფიზიკური რეაბილიტაცია თითქმის არ უტარდება.

საკმაოდ ძვირი უჯდება ავადმყოფს ფასიანი ფიზიკური მეთოდებით რეაბილიტაცია პოლიკლინიკური მკურნალობის პირობებში, რის გამოც ამ სახის აღდგენითი მკურნალობის ჩატარება ავადმყოფთა უდიდესი ნაწილისათვის მიუწვდომელია. ჩვენ კარგად გვესმის, რომ დღევანდელი ეკონომიკური კრიზისის გამო სახელმწიფოს მიერ ყველა სახის სამედიცინო-პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარება ერთობ ძნელია.

ჩვენ მივმართეთ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოცუზრუნველყოფის სამინისტროს თბილისში სამედიცინო რეაბილიტაციის საავადმყოფო-ცენტრის შექმნის (მშენებლობისძ თაობაზე, მაგრამ გვიპასუხეს, რომ ამ ეტაპზე არ არის ამის შესაძლებლობა, საჭირო საბიუჯეტო რესურსები. რასაკვირველია, სადღეისოდ თანამედროვე რეაბილიტაციის საავადმყოფო-ცენტრის აშენება გარკვეულ პრობლემას წარმოადგენს, მაგრამ თუ ქ. თბილისში რომელიმე საავადმყოფოსთან შეიქმნება 15-20-საწოლიანი რეაბილიტაციის განყოფილება, ეს მნიშვნელოვან როლს შეასრულებს მედიცინის ამ მიმართულების შემდგომი განვითარების საქმეში.

უნდა ვიმედოვნოთ, რომ მთავრობა გულისყურით მოეკიდება ავადმყოფთა და უნარშეზღუდული ადამიანების აღდგენითი მკურნალობის პრობლემას. ნუ დაგვავიწყდება, რომ ძირითადად მხოლოდ ფიზიკური რეაბილიტაციით შეიძლება შრომის უნარის შენარჩუნება, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს თითოეული ადამიანის (ინვალიდისძ შემდგომი ცხოვრებისათვის.

**რომანოზ სვანიშვილი,**
**პროფესორი, საქართველოში თანამედროვე ფიზიკური რეაბილიტაციისა და სპორტული მედიცინის განვითარების ფუძემდებელი.**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე



# EUTELSAT, ქართული ტელევიზია და რუსეთის ცენზურის დიქტატი

**საქართველოს რუსულენოვანი არხის „პირველი კავკასიურის" მოთხოვნით პარიზის სავაჭრო სასამართლოში გამოიძახეს საფრანგეთის კომპანია EUTELSAT, რომელმაც უარი განაცხადა გადაცემათა ტრანსლირებაზე რუსეთში. პარიზში ორშაბათს გამართულ პრესკონფერენციაზე „პირველი კავკასიურის" ხელმძღვანელობა იცავდა „ერთადერთ ტელეარხს რეგიონში, რომელიც სთავაზობდა ყველა თვალსაზრისს".**

14 იანვარს საქართველოს საზოგადოებრივმა ტელევიზიამ ზემოაღნიშნულ კომპანიასთან დადო კონტრაქტი თავისი სამი ტელეარხის ტრანსლაციის შესახებ თანამგზავრის მეშვეობით. მას უნდა ეწარმოებინა მაუწყებლობა ყოფილი სსრ კავშირის ქვეყნებში. მაგრამ მალე კომპანიამ გააფორმა უფრო ხელსაყრელი შეთანხმება კომპანია „ინტერსპუტნიკთან" ტრანსლაციის შესახებ და ქართული მაუწყებლობა შეწყდა. საზოგადოებრივი ტელემაუწყებლობის ადვოკატის ანრი დ.არმანიაკის სიტყვებით, „ყველაფერი მიუთითებს საქმის პოლიტიკურ ხასიათზე". როგორც იტყობინებიან, რუსეთის ზოგიერთი დეპუტატის მოწოდება „განადგურდეს ტერორისტების ტელევიზია" გაიგონეს პარიზში და ზემოაღნიშნული კომპანიის შტაბში.

საზოგადოებრივი ტელემაუწყებლობის დირექტორის გიორგი ჭანტურიას სიტყვებით, „ევროპა ცალი ხელით გვაძლევს თავისუფლების გაკვეთილებს, მეორით კი თრგუნავს ამ თავისუფლებებს თავისი რუსი კლიენტების ბრძანებით".

**სოფი შიხაბი**

Le Monde.fr

# კრიტიკოსები ამტკიცებენ, რომ რუსეთისთვის ფრანგული ხომალდის „მისტრალის" მიყიდვა რეგიონს ზიანს მიაყენებს

**როდესაც სადესანტო, „მისტრალის" კლასის შვეულმფრენმა, რომლის წყალწყვაც 23,7 ათასი ტონაა, 23 ნოემბერს ღუზა ჩაუშვა პეტერბურგის ნავსადგურში, ეს მხოლოდ მეგობრული ვიზიტი იყო რუსებთან.**

გემი ჩამოვიდა, რათა მოახდინოს თავისი მაღალი ტექნოლოგიურობის დემონსტრაცია, რუსეთის სამხედრო საზღვაო ფლოტისთვის მისი მიყიდვის პერსპექტივებით, დაახლოებით 750 მილიონ დოლარად.

ასეთი გარიგება, რომელიც, როგორც საფრანგეთის თავდაცვის სამინისტროში ამტკიცებენ, ამჟამად განიხილება, გახდებოდა თანამედროვე ისტორიაში პირველი დიდი შესყიდვა, რასაც რუსეთის არმია განახორციელებდა უცხოეთში. ეს გახდებოდა აგრეთვე ისტორიული მომენტი საფრანგეთისა და დასავლეთისთვის. გარიგება გახდებოდა ყველაზე დიდი და რთული ტრანსაქცია ნატოს ქვეყნებსა და რუსეთს შორის და ხაზს გაუსვამდა ალიანსის რევოლუციურ როლს, რაც ჩაფიქრებულია, როგორც საბჭოთა სიძლიერის დაპირისპირება.

ამ საკითხთან დაკავშირებით ბარაკ ობამას ადმინისტრაცია დუმს, ყოველ შემთხვევაში, ოფიციალურად, მოსკოვთან ურთიერთობის გაუმჯობესების ღონისძიებათა ჩარჩოებში. მაგრამ ექვსმა რესპუბლიკელმა სენატორმა, მათ შორის, ჯონ მაკკეინმაც, დეკემბერში ვაშინგტონში საფრანგეთის ელჩს პიერ ვიმონს მისწერა წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ მიყიდვა მიზანშეუწონელია, ვინაიდან გულისხმობს, რომ საფრანგეთი მხარს უჭერს რუსეთის საქციელს, რასაც წერილის ავტორები სულ უფრო აგრესიულსა და უკანონოს უწოდებენ.

კერძოდ, წერილში საუბარია რუსეთის უარზე, შეასრულოს რუსეთსა და საქართველოს შორის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების ყველა პირობა, რაც შეთანხმებული იყო აგრეთვე საფრანგეთის პრეზიდენტთან ნიკოლა სარკოზისთან 2008 წლის ზაფხულში. მიუხედავად დაპირებისა, რუსეთის ჯარების ნაწილი დარჩა ტერიტორიაზე, რომელიც ქვეყნების უმრავლესობამ საქართველოს ტერიტორიად მიიჩნია.

ისინი ამბობენ: „თუ ჩვენ გვექნება ეს გემი, ჩვენ მივიჩნევთ, რომ გვაქვს უფლება გამოვიყენოთ იგი, სადაც საჭიროდ ჩავთვლით, – განაცხადა სატელეფონო ინტერვიუში საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანმა ეკა ტყეშელაშვილმა. – ისინი თავს არაფრით იზღუდავენ".

ტყეშელაშვილი და ხომალდის მიყიდვის სხვა მოწინააღმდეგები მიუთითებენ რუსეთის პრეტენზიაზე იმ სახელმწიფოებზე გავლენის გაძლიერების შესახებ, რომლებიც ოდესღაც სსრ კავშირის შემადგენლობაში იმყოფებოდნენ მოსკოვის კონტროლის ქვეშ და ამჟერად კი ისწრაფვიან ნატოში შესვლისკენ.



„მისტრალის" კლასის ხომალდები, რომლებსაც შეუძლიათ ბორტზე განათავსონ 16 შვეულმფრენი, რამდენიმე ათეული ტანკი და ასობით სამხედრო მოსამსახურე, იდეალური იქნება სამხედრო ოპერაციების საწარმოებლად ასეთი გავლენის განმტკიცების მიზნით, ამტკიცებენ კრიტიკოსები.

**ედუარდ კოუდი**

washingtonpost.com

# საქართველომ გადაწყვიტა სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი მშვიდობიანად დაიბრუნოს

**საქართველომ ევროსაბჭოში წარადგინა „სახელმწიფო სტრატეგია ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით", – ბი-ბი-სი-ს რუსეთის სამსახურს აცნობა საქართველოს მინისტრმა რეინტეგრაციის საკითხებში თემურ იაკობაშვილმა.**

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ საქართველო აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს კვლავ მიიჩნევს ოკუპირებულ ტერიტორიად, თუმცა უარს აცხადებს კონფლიქტის გადაწყვეტის ძალოვან ვარიანტებზე.

ამას გარდა საქართველოს განზრახული აქვს მიიღოს ზომები, რათა არ დაუშვას სამხრეთი ოსეთისა და აფხაზეთის იზოლაცია.





მიუხედავად ამისა, აფხაზეთი და სამხრეთი ოსეთი უარს აცხადებენ მოლაპარაკებაზე ამ საკითხთან დაკავშირებით, მას უწოდებენ „საქართველოს დღევენდალი რეჟიმის პიარს".

როგორც თემურ იაკობაშვილმა გვითხრა, დოკუმენტში, რომელიც წარდგენილია საქართველოს მხრიდან ევროსაბჭოში, შემოთავაზებულია, რომ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მოსახლეობას მიენიჭოს უფლება მიიღონ განათლება და სამედიცინო მომსახურება, აგრეთვე ნათქვამია ტერიტორიების ჩართვის შესახებ მთელ რიგ ეკონომიკურ და კულტურულ პროექტებში.

„ჩვენ დავიწყეთ ევროსაბჭოდან, ვინაიდან ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებები და არა პოლიტიკოსების ინტერესები", – განაცხადა მინისტრმა. მისი სიტყვებით, ევროსაბჭოს წევრები დადებითად აღიქვამენ საქართველოს ახალ სტრატეგიას, მეტად საჭიროა „ამ სტრატეგიის განხილვა, რასაც ვაპირებთ აგრეთვე გაეროში ნატოსა და ევროკავშირის ორგანოებში".

მიუხედავად ამისა, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მხარეებმა ნეგატიურად აღიქვეს ევროსაბჭოში საქართველოს სტრატეგიის განხილვა, აგრეთვე ასეთი დოკუმენტის თავად არსებობის ფაქტიც.

„როგორ შეიძლება იყოს დამოკიდებულება ამ კონცეფციასთან, თუ დღემდე ოკუპირებულ ტერიტორიებს გვიწოდებენ", – უთხრა ბი-ბი-სი-ს რუსეთის სამსახურს აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ.

მისი სიტყვებით, აფხაზეთი არ აპირებს რაიმე დოკუმენტის განხილვას საქართველოსთან, რომელიც მიზნად ისახავს ყოფილ ტერიტორიულ საზღვრებში დაბრუნებას.

სამხრეთ ოსეთის ელჩმა რუსეთში დიმიტრი მედოევმა ევროსაბჭოში საქართველოს სტრატეგიის განხილვას პიარი უწოდა, რომელიც გათვალისწინებულია ევროპის პუბლიკაზე.

ამას გარდა, მისი სიტყვებით, სამხრეთ ოსეთის ხელისუფლება არავითარ მოლაპარაკებას არ გამართავს „სააკაშვილის რეჟიმთან".

BBC RUSSIAN.com

# გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

საქმე №2/9510-09 3 თებერვალი, 2010 წ. ქ. თბილისი

## შესავალი ნაწილი

### თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია

**მოსამართლე** სოფიო მაჭავარიანი
**სხდომის მდივანი** თამარ დალაქიშვილი
**განმცხადებელი** შპს „სოკარ ჯორჯია გაზი" **(მყიდველი)**
**წარმომადგენელი** მერაბ მამუჩაშვილი
**დაინტერესებული პირი** სს „წყალტუბოგაზის" აქციონერები 89 ფიზიკური პირი (აქციათა რეესტრის 2009 წლის 2 დეკემბრის მდგომარეობით: ამირან ამბროლიანი, ლენა აფსაძე, ზაურ აფხაძე და სხვები
**მოთხოვნა** აქციათა სავალდებულო მიყიდვა

სასამართლომ იხელმძღვანელა მე-8, 243-ე, 247-ე, 248-ე, 249-ე, $309^{14}$-ე და $309^{15}$-ე მუხლებითა და

**გადაწყვიტა**

1. შპს „სოკარ ჯორჯია გაზის" განცხადება აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ დაკმაყოფილდეს;
2. სს „წყალტუბოგაზის" კაპიტალის 95,960 პროცენტის (152113 აქციაძ მესაკუთრეს შპს „სოკარ ჯორჯია გაზს" (მყიდველიძ ნება დაერთოს, მოახდინოს საზოგადოების კაპიტალის 3,468 პროცენტის შესაბამისი აქციების გამოსყიდვა დაინტერესებული პირებისაგან (სს „წყატტუბოგაზის" აქციონერებისაგან, გარდა სახელმწიფოს კუთვნილი – 0,572 პროცენტი აქციებისაძ;
3. გამოსყიდვის სამართლიან ფასად განისაზღვროს 1 აქციის ფასი – 1.056 ლარის ოდენობით;
4. აქციათა გამოსყიდვის საარიცხვო თარიღად განისაზღვროს 2010 წლის 25 თებერვალი;
5. გადაწყვეტილებაშ ეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო წესით თბილისის სააპელაციო სასამართლოში თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მეშვეობით 14 დღის ვადაში დასაბუთებული გადაწყვეტილების მხარეთათვის გადაცემის მომენტიდან.

**მოსამართლე სოფიო მაჭავარიანი**

## დედამიწის ზურგზე





**მანჰეტენში მსოფლიო სავაჭრო ცენტრის ადგილზე მე-20 სართულამდე ამოყვანილია პირველი ცათამბჯენის ლითონკონსტრუქციები**

**ჩინოვნიკების სიტყვებით, მიღწეული პროგრესი „არის კიდევ ერთი ნიშანი იმისა, რომ ეს ადგილი აღარ არის სამშენებლო ორმო". 104-სართულიანი ცათამბჯენის დასრულება გათვალისწინებულია 2013 წლისთვის. მისი სიმაღლე 540 მეტრი იქნება.**

* * *

**ნიუ-იორკის ცენტრში საოფისე შენობაში აღმოაჩინეს საეჭვო თეთრი ფხვნილი**



**მანჰეტენში სწორედ ამ მაღლივ შენობაში არის განთავსებული გამოკვლევათა ფედერალური ბიურო და იმიგრაციის სამსახურები. მოსამსახურეთა მთელ ჯგუფს, შვიდათ კაცს, რომლებიც აღმოჩნდნენ ამ ფხვნილის მახლობლად, გამოუცხადეს, რომ ისინი არიან უცნობ ნივთიერებასთან კონტაქტში მყოფნი. ისინი აიძულეს მიეღოთ შხაპი და გამოეცვალათ ტანსაცმელი.**

* * *

**ობამა: კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა არ უპასუხებს ტერორიზმის სპონსორი ქვეყნის კრიტერიუმებს**



**წერილში, რომელიც კონგრესს გაეგზავნა, სახელმწიფოს მეთაური მიუთითებს საიდუმლო მოხსენებაზე, მისმა ადმინისტრაციამ რომ მოამზადა. მასში თავმოყრილია ინფორმაცია ამერიკელების მიერ მოწყობილი შემოწმების შესახებ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საქმიანობასთან დაკავშირებით. ჩრდილოეთ კორეის დაბრუნება სიაში მოითხოვეს რესპუბლიკელებმა.**

* * *

**უცხოელი კორუფციონერები და დიქტატორები თავისუფლად „ათეთრებენ" ფულს ამერიკის ბანკებში**

**ასეთ დასკვნას შეიცავს ახალი დოკუმენტი, რომელიც გამოაქვეყნა სენატის კომისიაში შემავალმა სტრუქტურამ ეროვნული უშიშროების საკითხებში. აღნიშნავენ, რომ „ამერიკის სისტემაში ბევრი მექანიზმია დარჩენილი, რომლებიც საშუალებას იძლევიან კორუფციონერთა ფულის შემოსვლისთვის".**



დიდი ტერორი?

ალექსანდრ ელისეევი

# 1937 წლის გამოცანის ამოხსნა

## „საუკუნის დანაშაული“ თუ ქვეყნის გადარჩენა?

სტალინს ეზიზღებოდა რეპრესიების, დამსჯელი მეთოდების ხოტბა, რაც ნორმად იქცა ბევრი პოლიტიკური და შემოქმედებითი ელიტის წარმომადგენლებისთვის. როგორც ადმირალი ი.ს.ისაკოვი იხსენებს, ბელომორ-ბალტიის არხის დათვალიერების დროს სტალინს არ სურდა გამოსვლა, ყოველნაირად ცდილობდა ეს თავიდან აეცილებინა. ერთხელ კი მაინც გამოვიდა, რითაც გუნება-განწყობილება გაუფუჭა ბევრ „ენთუზიასტს“. სტალინმა მკაცრად გააკრიტიკა (გადაჭარბებული პათოსის გამოძ წინა გამომსვლელები, რომლებშიც ხოტბას ასხამდნენ მშენებლობას და მის თანმხლებ „გამოჭედვას“ პატიმრებისა.

გარდაქმნის პერიოდში მიღებული იყო დაეპირისპირებინათ სტალინის სიმკაცრე ლენინის „ჰუმანურობისთვის“. ამ დროს „ყველაზე ადამიანური ადამიანი“ სტალინს აკრიტიკებდა ზედმეტი სირბილისთვის მტრებთან დაკავშირებით. ერთხელ მოლოტოვთან საუბრის დროს ფ.ჩუევი შემთხვევით მას შეეკითხა — ვინ უფრო მკაცრი იყო — ლენინი თუ სტალინი? მოლოტოვმა დაბეჯითებით უპასუხა: **„რასაკვირველია, ლენინი. მკაცრი იყო. ზოგიერთ რამეში სტალინზე მკაცრი. წაიკითხეთ მისი წერილები ძერჟინსკისადმი. ის ხშირად მიმართავდა უკიდურეს ზომებს, როცა ეს აუცილებელი იყო. ტამბოვის აჯანყებასთან დაკავშირებით ბრძანებდა, ჩაეხშოთ იგი, გადაწვან ყველაფერი. ერთხელ ვიყავი განხილვაზე. ის ვერანაირ ოპოზიციას ვერ იტანდა, თუ იქნებოდა ამის შესაძლებლობა. მახსოვს, როგორ უსაყვედურა სტალინს უნიათობისა და ლიბერალიზმის გამო: „ეს რა დიქტატურაა ჩვენთან? ჩვენთან დონდლო ხელისუფლებაა და არა დიქტატურა“.**

სამაგიეროდ ლენინი ძალიან აქებს ტროცკის უკანდახეულ წითელი არმიის ნაწილში ყოველი მეათის დახვრეტის მეთოდის გამო. ის ყოველმხრივ იცავდა ტროცკის მის სიმკაცრეში ბრალდებასთან დაკავშირებით, ამტკიცებდა, რომ ლევ დავიდოვიჩი ცდილობს პროლეტარიატის დიქტატურა „დონდლოდან“ „რკინისაში“ გადაზარდოსო.

თავის დროზე ძალიან მიკვირდა, რომ კომუნიზმის ჩვენი ლიბერალური და დემოკრატიული მამხილებლები თავიანთი კრიტიკის ძირითად ქარცეცხლს მიმართავდნენ და მიმართავენ სწორედ სტალინის წინააღმდეგ. ლენინსაც ხვდება ხოლმე, რა თქმა უნდა, მაგრამ არც ისე მაგრად. მთავარი დემონი — სწორედ სტალინია. მახსოვს 90-იანი წლების შუა პერიოდში გ.ა.ზიუგანოვმა გადაწყვიტა მოეყვანა ციტატა სტალინის სიტყვიდან XIX ყრილობაზე. ლიბერალური ჟურნალისტების რისხვას საზღვარი არ ჰქონდა. აბა როგორო, აი, ხომ ხედავთ, ზიუგანოვმა, როგორც იქნა, გვიჩვენა თავისი ტოტალიტარული სახეო. მაგრამ ლენინთან დაკავშირებული კომუნისტების ყველა საკულტო რიტუალი მათ არ აღიზიანებდათ, პირიქით, ართობდათ კიდეც.

ეს როგორო? ლენინი ხომ „საბჭოთა“, ბოლშევიკური სისტემის ფუძემდებელი იყოო. ის კი სტალინზე გაცილებით მკაცრი იყო, მის დროს დაიღუპა გაცილებით მეტი ხალხი. რატომაა, რომ კოპების ყველაზე მეტი ნაწილი სტალინს ხვდება? ყველაფერი კი ძალიან მარტივადაა. სტალინმა თავისი მხრებით გამოიყვანა ქვეყანა უდიდესი გაჭირვებებიდან. და მისგან ზესახელმწიფო გახადა. ლიბერალებს უნდათ, რომ რუსეთი გახდეს დასავლეთის მხოლოდ ნაწილი, შევიდეს იქ წესიერი მოსწავლის უფლებით. და ამიტომ არ შეუძლიათ აპატიონ სტალინს რუსეთის მოძრაობის ტრაექტორიის შეცვლა 20-იანი წლების ბოლოს. ლენინს ცოტა მეტ ხანს რომ ეცოცხლა, ან ხელისუფლებაში მოსულიყო რომელიმე ნამდვილად „ერთგული ლენინელი“, ქვეყანა უბრალოდ ვერ გაუძლებდა კომუნისტური უტოპიის ტვირთს. ის დაიმსხვრეოდა, დასავლელი კეთილი „ძიები“ კი აკრეფდნენ ნამსხვრევებს და შეაწებებდნენ მათგან რაღაც მათთვის საჭიროს. ლამის ძოთნის მსგავსს...

### ბელადის პლურალიზმი

რეპრესიები ხშირად „სტალინის მოუთმენლობიდან“ გამოჰყავთ. ძალიან ბევრის შეგნებაში მტკიცედ დამკვიდრდა დესპოტი სტალინის სახე, რომელიც ყველასგან და უწინარეს ყოვლისა თავისი პოლიტიკური წრიდან ითხოვს მკაცრ ერთაზროვნებასა და უსიტყვო მორჩილებას. უნდა ითქვას, რომ ეს სახე უსასრულოდ შორსაა სინამდვილისგან. უეჭველია, რევოლუციური ეპოქა, მისთვის დამახასიათებელი რადიკალიზმითა და ნიჰილიზმით, აისახა სტალინის ხასიათზე. გარკვეულ მომენტებში მას ახასიათებდა მოუთმენლობაც, უხეშობაც, ჭირვეულობაც. მაგრამ ის არასოდეს უწევდა წინააღმდეგობას მათ, ვინც იცავდა თავის თვალსაზრისს.

შემონახულია თვითმხილველთა დამოწმებანი, რომელთა მიხედვითაც სტალინი არ ერიდებოდა დისკუსიებს სულ სხვადასხვა საკითხებზე. აი რას ამბობენ ბელადთან მომუშავე ადამიანები. ი.ა.ბენედიქტოვი იგონებს: **„ჩვენ, სამეურნეო მუშაკებმა, მყარად ვიცოდით: იმისთვის, რომ არ დავეთანხმეთ „თავად მას“, არ დაგვსჯიდნენ, უბრალოდ მსუბუქ უკმაყოფილებას გამოთქვამდა, რომელსაც მალე ივიწყებდა. ხოლო თუ მართალი აღმოჩნდებოდი, მის თვალში ავტორიტეტი გეზრდებოდა. აი თუ სიმართლეს არ იტყვი, დუმილს ამჯობინებ საკუთარი სიმშვიდისთვის, შემდეგ კი ეს გამოააშკარავდებოდა, აქ უკვე სტალინის ნდობას აუცილებლად დაკარგავ, და სამუდამოდ“.**

შეიარაღების სტალინელი სახალხო კომისარი დ.თ.უსტინოვი აღნიშნავს, რომ **„მთელი მისი მბრძანებლურობის, მე ვიტყოდი სიმკაცრის მიუხედავად, ის ცოცხლად ეხმარებოდა გონივრული ინიციატივის, დამოუკიდებლობის გამოჩენას, აფასებდა აზროვნებისა და მსჯელობის დამოუკიდებლობას“.**




ა.ნ. ბაიბაკოვი ბელადის შესახებ წერდა: **„თუ ვინმეს ნიჭს შეამჩნევდა, თვალყურს ადევნებდა მას — როგორია თავად პიროვნება, თუ მხდალია — არ ვარგა, თუ გაბედული — საჭიროა. ბევრჯერ დავრწმუნებულვარ, რომ სტალინი პატივს სცემდა გაბედულ და პირდაპირ ადამიანებს, მათ, ვისაც შეეძლო მასთან საუბარი პირდაპირ, ყველაფერზე და გულით. სტალინი ასეთ ხალხს უსმენდა, სწამდა მათი, როგორც პირდაპირ და ღირებულ ნატურას“.**

ზოგჯერ სტალინის დავა თავისი წრის ხალხთან იყო საკმაოდ მკაცრი ხასიათისა. აი რას იგონებს ჟუკოვი: **„ხშირად მიმიღია მონაწილეობა მთელი რიგი საკითხების განხილვაში სტალინთან მის უახლოეს წრესთან ერთად. მქონდა შესაძლებლობა მენახა დავები და კამათი, სიჯიუტეც ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით, განსაკუთრებით მოლოტოვთან, ზოგჯერ საქმე იქამდეც კი მიდიოდა, რომ სტალინი ხმას უწევდა და ზოგჯერ წონასწორობასაც კარგავდა. მოლოტოვი კი გაღიმებული წამოდგებოდა მაგიდიდან და თვალსაზრისს არ შეუცვლიდა“.** ხრუშჩოვი შესანიშნავად ავსებს ჟუკოვს, როდესაც მოლოტოვზე ამბობს: **„იმ დროს ის ჩემზე ახდენდა დამოუკიდებელი ადამიანის შთაბეჭდილებას, რომელიც აზროვნებს ასევე დამოუკიდებლად, ჰქონდა თავისი აზრი ამა თუ იმ საკითხზე, ესაუბრებოდა და გამოთქვამდა თავის აზრს სტალინთან ყველაფერზე, რასაც ფიქრობდა“.**

იქნებ ჟუკოვსა და ხრუშჩოვს მხედველობაში აქვთ მხოლოდ „ტექნიკური“ საკითხები, „დიდი პოლიტიკის“ მიღმა (ამ საკითხებზე ნებისმიერ შემთხვევაში აზრთა სხვადასხვაობა გარდაუვალიაძ. ისეთი ტიპის საკითხები, როგორიცაა — რამდენი „გადავუგდოთ“ რომელიმე ქარხანას? არა, დისკუსიები ეხებოდა დიდმნიშვნელოვან ამბებს. მაგალითად, 1936 წელს მოლოტოვი დიდხანს და სერიოზულად ედავებოდა სტალინს სოციალიზმის ძირითადი პრინციპების საკითხზე, რომელიც უნდა განმტკიცებულიყო ახალ, მესამე საბჭოთა კონსტიტუციაში. ბელადი აყენებდა წინადადებას ასეთ პრინციპად გამოცხადებულიყო თავისი დებულება **„თითოეულისგან — თავისი უნარის მიხედვით, თითოეულს — თავისი შრომის მიხედვით“.** მოლოტოვს კი მიაჩნდა, რომ სოციალიზმის პირობებში, ე.ი. კომუნიზმის მხოლოდ პირველ ფაზაში, სახელმწიფოს არ შეუძლია მიიღოს პიროვნებისგან მისი უნარის მიხედვით, ეს შესაძლებელი გახდება მხოლოდ მეორე ფაზაში, კერძოდ, კომუნიზმში გადასვლის დროს.

აზრთა ამ სხვადასხვაობას, რასაკვირველია, ჰქონდა დიდი მნიშვნელობა. სტალინი, არსებითად, ცდილობდა დაენერგა აზრი, რომლის თანახმადაც სოციალიზმის დროს საზოგადოებას შეუძლია მიაღწიოს განვითარების უმაღლეს დონეს, და მისთვის სულაც არაა სავალდებულო ჰქონდეს კომუნისტური უტოპიის იმედი (ქვემოთ კიდევ იქნება მოყვანილი არგუმენტაცია იმის სასარგებლოდ, რომ „მსოფლიოს ხალხთა ბელადი“ არ იყო არც მარქსისტი, არც საერთოდ კომუნისტიძ. რა თქმა უნდა, პირდაპირ ის ამას არ ლაპარაკობდა, მაგრამ ქმნიდა ერთგვარ ბაზისს მომავალი იდეოლოგიური ნოვაციებისთვის. ეს იყო სტალინის „საყვარელი“ თამაში — შეექმნა რაღაც კომპრომისული დებულება და გამოეყენებინა იგი, როგორც საფეხური კიდევ ერთი დებულების შესაქმნელად, უფრო თამამის, მაგრამ მაინც კომპრომისულის. ამ საფეხურებზე თანდათან მიმავალი ბელადი შორს იტოვებდა უკან თავდაპირველ წანამძღვარს, აქცევდა მას შეუმჩნევლად.

ზოგჯერ სტალინის მთელი მაამებელი გარემოცვა იკავებდა პოზიციას, რომელიც სრულიად განსხვავდებოდა ბელადის პოზიციისგან. და ეს უკანასკნელი იძულებული ხდებოდა დაეთმო. მოვიყვან ნათელ მაგალითს. ისტორიკოსმა ბ.სტარკოვმა საარქივო დოკუმენტებზე დაყრდნობით (ცენტრალური კომიტეტის საერთო განყოფილებისა და სამდივნოს მასალები, მ.კალინინის სიტყვა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის პარტიულ აქტივზეძ აღმოაჩინა საოცარი რამ. თურმე სტალინს „ნდობადაკარგული“ ეჟოვის ადგილზე სურდა დაენიშნა გ.მ.მალენკოვი, რომელსაც სწრაფად აწინაურებდა სასამსახურო კიბეზე. მაგრამ პოლიტბიუროს წევრების უმრავლესობამ უპირატესობა ლ.პ.ბერიას მიანიჭა.

რასაკვირველია, ყველას როდი და ყოველთვის როდი ჰქონდა სრული შესაძლებლობა აშკარად გამოეხატა თავისი პოზიცია. მაგრამ სრულიად არასწორი იქნებოდა გვეთქვა, რომ მიუღებელი აზრი აუცილებლად ისჯებოდა ანდა აუცილებლად მთავრდებოდა დახვრეტით ან გადასახლებით.

განვიხილოთ ზოგიერთი საგულისყურო მაგალითი. 1943 წლის აპრილში სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტში წარადგინეს ნ.ი.საზონოვის სადოქტორო დისერტაციის ხელნაწერი „ეკონომიკური პოლიტიკის საფუძვლების შესავალი“. მაშინ მან მთელი ომამდელი პოლიტიკა ეკონომიკის დარგში შეცდომად გამოაცხადა. სიტუაციის გამოსასწორებლად საზონოვი აყენებდა წინადადებას: მოვიზიდოთ უცხოური კაპიტალი კონცესიების სახით; საბჭოთა საწარმოების 80 პროცენტი გადავიყვანოთ სააქციონერო საფუძველზე უმთავრესად უცხოეთში გაყიდვით; გაუქმდეს მონოპოლია საგარეო ვაჭრობაზე. ბუნებრივია, დისერტაცია არ მოიწონეს და გააკრიტიკეს, მაგრამ თავად ავტორის რეპრესია როდი მომხდარა.

იმავე ინსტიტუტში 1945 წლის ზაფხულში განსახილველად შევიდა ს.ი.მერზენევის სადოქტორო დისერტაციის ხელნაწერი. ის, სხვათა შორის, ამ ორგანიზაციის პარტიული კომიტეტის მდივანი იყო 1943-1944 წლებში. დისერტაციის სახელწოდება იყო „ხელფასი სოციალიზმის დროს“. მასში წამოყენებული იყო წინადადება გადასინჯულიყო მარქსიზმის ბევრი დებულება. პარტიულმა ბიურომ გამოკვლევა უარყო, ურჩია მერზენევს გადაესინჯა არა მარქსიზმი, არამედ საკუთარი უთანხმოებანი. მან ეს იწყინა და მალენკოვს მისწერა წერილი, რომელშიც ამტკიცებდა „სოციალისტური მეურნეობის ფორმის შესახებ მარქსის მოძღვრების გადასინჯვის“ აუცილებლობას. ეკონომისტის აზრით, მარქსიც, ენგელსიც ცდებოდნენ, როდესაც მიიჩნევდნენ, რომ სოციალიზმისა და კომუნიზმის დროს იბატონებს ნატურალური მეურნეობა. მალენკოვმა მერზენევის არგუმენტები არ მიიღო, და ის იძულებული გახდა, მიეტოვებინა ინსტიტუტი. მიუხედავად ამისა, რეპრესიამდე საქმე არ მისულა. მაგრამ ესეც არაა მთავარი. ყურადღებას იპყრობს ის, რომ საზონოვსა და მერზენევს არ შეშინებიათ წარედგინათ თავიანთი გაბედული (მსუბუქად რომ ვთქვათძ დასკვნები სამეცნიერო და პარტიული საზოგადოებრიობის სამსჯავროზე. მაშასადამე, ისინი არ ელოდნენ რაიმე სერიოზულ დევნას და იმედიც ჰქონდათ დაეცვათ საკუთარი თვალსაზრისი. ეს კი, თავის მხრივ, ნიშნავს საზოგადოებაში გარკვეული თავისუფლების არსებობას.

სხვათა შორის, ეკონომისტების შესახებ. სტალინის დროს, 1951 წელს, მათ შორის მოაწყვეს ვრცელი დისკუსია, რომლის დროსაც გამოითქვა სხვადასხვა აზრი, ზოგჯერ საკმაოდ მოულოდნელი შეხედულებებიც. მოკლედ ვიტყვი ზოგიერთ მათგანზე. მოსკოვის საფინანსო ინსტიტუტის კათედრის გამგემ ა.თ.იაკოვლევმა აღნიშნა სამამულო ეკონომიკური აზრის სავალალო მდგომარეობა. მიზეზს ის ხედავდა იმაში, რომ მეცნიერები ელოდებიან — როდის გააკეთებს მათ მაგივრად ყველაფერს სტალინი და ეშინიათ არ დასდონ ბრალი „ანტილენინიზმში“.

საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტის პროფესორმა ი.თ.მიკოლენკომ გააკეთა დასკვნა, რომ სოციალიზმის ეკონომიკური კანონები ატარებენ, კაპიტალისტური კანონების მსგავსად, სტიქიურ ხასიათს. მასთან ამ საკითხში ახლოს იყო ლატვიის სს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი ნ.ა.კოვალევსკი, რომელიც ირწმუნებოდა, რომ კომუნიზმის დროს პირველ ხანებში შენარჩუნებული იქნება ფულიც და ღირებულებაც.

საწინააღმდეგო პოზიცია ეკავათ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის თანამშრომლებს ი.ა.ანჩიშკინს და ნ.ს.მასლოვს. მათ წამოაყენეს დებულება, რომლის თანახმადაც სოციალიზმის ეკონომიკური კანონები განისაზღვრება და ყალიბდება სოციალისტური სახელმწიფოს მიერ, მისი პოლიტიკით. ამავე ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი დ.ო.ჩერნომორდიკი საერთოდ უარყოფდა ღირებულების კანონის მოქმედებას სოციალიზმის დროს.

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს სამმართველოს უფროსმა ვ.ი.პერესლეგინმა წამოაყენა წინადადება, განხორციელებულიყო ფართომასშტაბიანი ეკონომიკური რეფორმა, რომელიც ითვალისწინებდა ყველა სამეურნეო სტრუქტურის — ქარხნებიდან მთავარ სამმართველოებამდე და სამინისტროებამდე — სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანას.

და არავის გაუწევია წინააღმდეგობა ამ და სხვა მეტად საინტერესო ვარაუდებისა და წინადადებების გამოთქმისთვის. თუმცა დისკუსიის ერთ-ერთი მონაწილის ლ.იაროშენკოს რეპრესია მაინც მოხდა — 1953 წლის იანვარში, დისკუსიის დამთავრებიდან ერთი წლის შემდეგ. მაშინ სტალინმა უმაღლესი ხელისუფლების ორ მონაწილეს — მომავალ „სიმართლის მოყვარულ“ ხრუშჩოვსა და შეპილოვს დაავალა — გამოეტანათ დასკვნა იაროშენკოს პოზიციის განსაზღვრაში. მათ პოზიცია ანტიპარტიულად მიიჩნიეს და იაროშენკო დააპატიმრეს. დიახ, ეჭვგარეშეა, სიტუაცია სიტყვის თავისუფლებასთან დაკავშირებით არ იყო დამაკმაყოფილებელი (ისევე, როგორც მანამდე და მის შემდეგაცძ. მაგრამ არაა საჭირო, გავაზარდოთ არათავისუფლებისა და თავნებობის ხვედრითი წონა.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 14-21.

**◎ კალათბურთი**

# როცა ზოგი ძირი მარგებელია

**უკვე გაუწყეთ, რომ სპონსორის – საავიაციო საწარმოო გაერთიანების (ყოფილი 31-ე ქარხანა) ფინანსურ გაჭირვებას კალათბურთელ ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტის „თბილავიამშენის“ დაშლა მოჰყვა.**

ზოგი ძირი მარგებელიასი არ იყოს, ლევან მოსეშვილის გუნდის აღსასრული სუპერლიგის ბოგბოლებისათვის გაძლიერების წყარო აღმოჩნდა. კერძოდ, ანატოლი ბოისა რუსთავის „ენერჯი ინვესტში“ დაბრუნდა, სადაც დავით პირველაშვილი გაჰყვა, ვახტანგ მინაშვილმა თსუ-ს შეაფარა თავი, თორნიკე ნინიაშვილი სასოფლოს ღირსებას იცავს, ხოლო სერგო ათუაშვილმა და ლექსო ლაფანაშვილმა შსს-ს მაისურები მოირგეს. თუ იმ ფაქტსაც გავითვალისწინებთ, რომ ძალოვანთა კლუბს არჩილ ქლენტის სახით ახალი, პერსპექტიული მთავარი მწვრთნელი ჰყავს, მისი გაზრდილი მაღა სავსებით საფუძვლიანად მოგეჩვენებათ.

ეს რომ ასეა, განახლებული სეზონის პირველივე ტურმა დაადასტურა, როცა სამართალდამცავებმა გათამაშების ერთ-ერთ ფავორიტს – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს დაამარცხეს ფარ-ხმალი – 76:73.

ამ გამარჯვებაში განსაკუთრებული წვლილი ათუაშვილმა, ძმებმა ბერიშვილებმა და ახალგამოჯანმრთელებულმა მარკოიშვილმა შეიტანეს, მათ მეტოქეთაგან კი ბარბაქაძე და კეიდია გამოირჩეოდნენ. დავძენთ, რომ ბრძოლის ბედი სწორედ ამ უკანასკნელის საბედისწერო – მეხუთე პერსონალური შენიშვნის მიღების შემდეგ გადაწყდა.

იმავე დღეს გამართული დანარჩენი მატჩები ასე დასრულდა: სასოფლო – სამედიცინო აკადემია 74:69, „ენერჯი ინვესტი“ – „ჭიათურა“ 103:47, „ბათუმი“ – „დინამო“ 97:91. ისვენებდა „სოხუმი“.

**ხვალ დედაქალაქის სპორტის სასახლე სუპერლიგის მორიგ თამაშებს უმასპინძლებს.**



**◎ ევროლიგა**

# გრანდთა დამხობა



**ბელგრადის „პარტიზანის“ მიერ ევროლიგის მეორე ჯგუფური რაუნდის სტარტზე საბერძნეთში „პანათინაიკოსთან“ მოპოვებული გამარჯვება ბევრმა სენსაციად მონათლა. როგორც მოვლენათა განვითარება ამტკიცებს, არც მთლად მასე ყოფილა საქმე – სერბებმა საკუთარ სარბიელზე თვით „ბარსელონა“ დასცეს – 67:66 (დამატებით დროშიძ, ასეთი რამ კი, თანაც ზედიზედ ორჯერ, დაგვეთანხმებით, შემთხვევით არ ხდება.**

შეგახსენებთ, რომ კატალონიელებმა პირველი ეტაპი დაუმარცხებლად განვლეს და, ისევე როგორც ცსკა-მ 2005 წელს, აბსოლუტურად საუკეთესო შედეგი აჩვენეს – 10 მოგება. ისინი ბალკანეთსაც ოპტიმიზმით აღსავსენი ეწვივნენ, მაგრამ...

იმავე დღეს გასვლით შეხვედრაში ხელი მოეცარა გათამაშების კიდევ ერთ ფავორიტს – სიენას „მონტეპასკის“, რომელიც მიმდინარე სეზონში იტალიის „სერია-ა“-საც ლიდერობს და ევროლიგაშიც დიდებულად ასპარეზობს – პირველ ეტაპზე მხოლოდ „ბარსელონასთან“ დამუხრუჭდა. აპენინელთა ცოდვა ამჯერად თურქულმა „ეფესმა“ დაიდო – 88:78.

ზედიზედ მეორე ბრძოლები მოიგეს „ოლიმპიაკოსმა“ „ხიმკისთან“ – 87:69 (შინ), ცსკამ – „ჟალგირისთან“ – 83:69 და „პროკომმა“ – „უნიკახასთან“ – 70:50 (სტუმრადძ, მაგრამ თუ ელადელთა და არმიელთა ასეთ წარმატებებს მიჩვეულნი ვართ, პოლონელთა აღზევება ჩვენთვის მთლად სასიამოვნო არ უნდა იყოს და აი, რატომ: მოგეხსენებათ, ამ ქვეყნის ნაკრები წლეულს ზაფხულში „ჯვაროსანთა“ მეტოქე იქნება „ევრო-2012“-ის „ა“ დივიზიონის საკვალიფიკაციო რაუნდში, ქალაქ გდინიას გუნდი კი იქაური ნაკრების საბაზო კლუბია და ადვილი წარმოსადგენია, მისი ძირითადი ბირთვი როგორ კერკეტ კაკლად შეიძლება იქცეს აგვისტოს ბატალიების დროს.

რადგან ზემოთ იგორ კოკოშკოვის შეგირდები ვახსენეთ, ერთ დამაფიქრებელ ფაქტსაც გაგაცნობთ: საქართველოს ეროვნული ნაკრები მისმა წამყვანმა გამთამაშებელმა, ნატურალიზებულმა ამერიკელმა ტაირონ ელისმა დატოვა, მისი სრულფასოვანი შემცვლელის მოსაძებნად კი კალათბურთის ფედერაციას არც საკმარისი დრო აქვს და არც – სახსრები.

ვიმედოვნებთ, სახელმწიფოსა და საქმიანი სამყაროს ძალისხმევით ოპერატიულად მოიძებნება ამ ჩიხიდან გამოსავალი.

**◎ ჩოგბურთი**

# წყვილებსღა შემორჩა



ქართველი ჩოგბურთელი სოფიო ქვაცაბაია (440ძ ამჟამად მალიორკას (ესპანეთიძ საერთაშორისო ტურნირზე იმყოფება, სადაც მან ერთეულთა თანრიგის პირველი შეხვედრა ფრანგ სინდი შალასთან (568ძ დათმო – 1:6, 7:6, 3:6. ჩვენებური წყვილთა შორის რუს ავგუსტა ციბიშევასთან ერთად შეჯიბრებაზე მესამე ნომრად არის განთესილი. პირველ ორთაბრძოლაში მათ სლოვაკები – ჩერვანოვა და მარაჩკოვა დაამარცხეს. მეორე წრეში ქვაცაბაია და ციბიშევა რუს ლაზარევასა და ესპანელ კავალერეიმერსს დაუპირისპირდებიან.

**◎ ფეხბურთი**

# მხოლოდ შედეგები

**იტალია. თასი.** „ინტერი“ – „ფიორენტინა“ 1:0.

**ესპანეთი. თასი.** „სევილია“ – „ხეტაფე“ 2:0.

**ინგლისი. თასი.** „ლიდსი“ – „ტოტენჰემი“ 1:3.

**პრემიერლიგა.** „ჰალი“ – „ჩელსი“ 1:1, „ფულჰემი“ – „პორტსმუთი“ 1:0.



**საფრანგეთი. თასი.** „ბორდო“ – „სედანი“ 1:0, „ტულუზა“ – „მარსელი“ 1:2 (დამატებით დროშიძ.

**ჰოლანდია. ერედივიზიონი.** „ეინდჰოვენი“ – „უტრეხტი“ 2:1, „ტვენტე“ – „ჰერაკლესი“ 2:0.

**ბელგია. იუპიერლიგა.** „ანდერლეხტი“ – „ბრიუგე“ 3:2.

**◎ რაგბი**

# ექვსი ერიც იწყებს

**ევროპის ექვსი ერის წარმომადგენლები მეათე წელიწადია, საუკეთესოს გამოსავლენად იბრძვიან. იმედია, ოვალური ბურთის სამყაროს წარმომადგენლებისთვის უინტერესო წლევანდელი პაექრობებიც არ იქნება, რომელიც ევროპის ერთა თასის მსგავსად 6 თებერვალს იწყება, ამიტომ აქვე გთავაზობთ 2010 წლის გათამაშების კალენდარს:**



**6 თებერვალი.** ირლანდია – იტალია, ინგლისი – უელსი.

**7 თებერვალი.** შოტლანდია – საფრანგეთი.

**13 თებერვალი.** უელსი – შოტლანდია, საფრანგეთი – ირლანდია.

**14 თებერვალი.** იტალია – ინგლისი.

**26 თებერვალი.** უელსი – საფრანგეთი.

**27 თებერვალი.** იტალია – შოტლანდია, ინგლისი – ირლანდია.

**13 მარტი.** ირლანდია – უელსი, შოტლანდია – ინგლისი.

**14 მარტი.** საფრანგეთი – იტალია.

**20 მარტი.** უელსი – იტალია, ირლანდია – შოტლანდია, საფრანგეთი – ინგლისი.

**◎ ინტერნეტიდან**

## თილისმა აფრიკული უნდა იყოს!



**სამხრეთაფრიკელები ძალზე გაანაწყენა იმ გარემოებამ, რომ ფეხბურთში 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის თილისმა – პატარა ლეოპარდი ზაკუმი მწვანე სამოსელით უნდა დამზადდეს არა მათ ქვეყანაში, არამედ ჩინეთში. სამხრეთაფრიკული პროფკავშირების კონგრესი განსაკუთრებით იმან გაალიზიანა, რომ 2,3,მილიონი ფიგურისათვის გადახდილი 83 მილიონი ევრო უნდა წაიღოს იმ კომპანიამ, თავის საწარმოებში ბავშვთა იაფ შრომას რომ იყენებს. 500 მუშაში არიან არასრულწლოვანებიც, ისინი დღეში 13 საათს მუშაობენ, გასამრჯელოდ კი 2 ევროს ეკვივალენტს ღებულობენ ადგილობრივი ფულით.**

„ჩვენ აღშფოთებულნი ვართ იმით, რომ სამხრეთაფრიკელმა მშრომელებმა დაკარგეს ახალი სამუშაო ადგილების შექმნის შანსი“, – ნათქვამია პროფკავშირების კონგრესის განცხადებაში.

## „ფარაონებო“, წინ!

**გამოქვეყნდა ფიფას მიერ მომზადებული მსოფლიო ფეხბურთის რეიტინგი. წინა რეიტინგთან შედარებით მის პირველ ათეულში არსებითი ცვლილებები არ მომხდარა, თუ არ ჩავთვლით, რომ აფრიკის თასზე ეგვიპტის ნაკრების გამარჯვებამ, ეს ქვეყანა 14 საფეხურით წინ წასწია და სწორედ ამ პირველ ათეულში შეიყვანა. ასე მაღლა აფრენა „ფარაონებს“ არ ახსოვთ.**



აი, როგორ გამოიყურება პირველი ათეული (ფრჩხილებში მითითებულია ადგილი წინა რეიტინგშიძ – 1 (1ძ **ესპანეთი** – 1627, 2 (2ძ – **ბრაზილია** – 1568, 3 (3ძ **ჰოლანდია** – 1288, 4 (4ძ **იტალია** – 1209, 5 (5ძ **პორტუგალია** – 1176, 6 (6ძ **გერმანია** – 1173, 7 (7ძ **საფრანგეთი** – 1117, 8 (8ძ – **არგენტინა** – 1082, 9 (9ძ – **ინგლისი** – 1079, 10 (24ძ **ეგვიპტე** – 1069.

რაც შეეხება ჩვენს ქვეყანას – საქართველოს – ის შარშანდელივით „საპატიო“ 122-ე ადგილზეა 202 ქულით, ეთიოპიასა და ყაზახეთს შუა „გაჩხირული“. რაც შეეხება ჩვენს „კარის მეზობლებს“ – სომხეთი 102-ე ადგილზეა 321 ქულით, აზერბაიჯანი კი – 114-ზე 236 ქულით.

## კლიისტერსი — ბარბი



**ცნობილი ბელგიელი ჩოგბურთელი, ახლახან რომ დაბრუნდა დიდ სპორტში, კიმ კლიისტერსი პირველი სპორტსმენია, რომლის მიხედვითაც დაამზადეს თოჯინა ბარბი. ამას გარდა, ასევე „გაათოჯინეს“ მისი გოგონა ჯადიც. ამ ახალი სათამაშოების ჩვენება გაიმართა ოთხშაბათს ქალაქ ნიურნბერგში.**

„როდესაც პატარა ვიყავი, ბარბის თოჯინებით ვთამაშობდი და სულ თან დამქონდა, – უთხრა ჟურნალისტებს ჩოგბურთელმა, – ახლაც მეამაყება, რომ მოვხვდი იმ ადამიანებს შორის, ვის მიხედვითაც გააკეთეს ბარბის თოჯინები“.

ცნობილ ქალებს შორის, რომლებიც წარმოდგენილნი არიან თოჯინათა სამყაროში, არიან ელისაბედ ტეილორი, მერილინ მონრო, გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი, პირველი ასტრონავტი ქალი სალი რაიდი, აგრეთვე ამერიკელი ტელეწამყვანი ოპრა უინფრი.

„ჩემი ოჯახი ჩემთვის ყველაფერია, ამიტომაც ძალზე მიხარია, რომ ჯადიმაც მიიღო თავისი თოჯინა, – თქვა კიმმა, – ჩვენ ეს არასოდეს დაგვავიწყდება“.

## ოპტიმიზმით დაქორწინდნენ

**შერეული სტილის პოპულარული მოჭიდავე, ბრიტანელი ალექს რეიდი და პრესის საყვარელი სახე, მოდელი ქეთი „ჯორდან“ პრაისი თურმე დაქორწინდნენ – იტყობინება პრესა. საქორწინო ცერემონია გამართულა სათამაშო ბიზნესის ამერიკულ დედაქალაქში – ლას-ვეგასში. ქორწილს მხოლოდ ახალშეუღლებულთა ახლო მეგობრები დაესწრნენ და, რასაკვირველია, მუდამ ლამაზმანის კუდში მდევარი ბრიტანული სატელევიზიო ჯგუფიც.**



როგორც ამბობენ, საერთოდ საქორწინო ცერემონია ძალზე მცირერიცხოვანი ყოფილა, რათა ყველასთვის დაემტკიცებინათ თავიანთი დიდი სიყვარული.

ქორწილის შემდეგ წყვილმა განაცხადა, რომ ძალიან უყვართ ერთმანეთი და ოპტიმიზმით უყურებენ მომავალს.

დიდი ქორწილი ინგლისში გაიმართება.

## მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს აუქციონს (პირობებიანი) 3 ლოტად

**I ლოტი:** ქ. მცხეთაში,სვეტიცხოვლის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 5066 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: №72.07.06.300).

**II ლოტი: ქ.** მცხეთაში, სვეტიცხოვლის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული არასასოფლო- სამეურნეო დანიშნულების 7488.00 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: №72.07.06.305).

**III ლოტი: ქ.** მცხეთაში, არსუკიძის ქუჩაზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 2200.00 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: №72.07.06.309).

- **საწყისი გასაყიდი ფასი: 1 კვ.მ -30 ა.შ.შ დოლარის ეკვივალენტი ლარებში.**
- **"ბე" საწყისი გასაყიდი ფასის -20%.**
- **მონაწილის ბილეთის ფასი-50 ლარი.**
- **"ბიჯი" საწყისი გასაყიდი ფასის- 10%.**

**აუქციონის პირობები:**

**I-ლი ლოტისთვის განისაზღვროს :** ევროსტანდარტების შესაბამისი ავტოსადგომის მოწყობა (სველი წერტილებით, კვების და სავაჭრო ობიექტებით) აღნიშნულ სამუშაოებთან დაკავშირებული პროექტები შეთანხმებულ იქნას მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შესაბამის სამსახურთან და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდთან.

**II-ე ლოტისთვის განისაზღვროს :** შესყიდულ მიწაზე საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ფონდის მიერ მომზადებული პროექტით გათვალისწინებული ნაგებობის-გალავნის აშენება.

**III-ე ლოტისთვის განისაზღვროს :** შესყიდულ მიწაზე საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ფონდის მიერ მომზადებული პროექტით გათვალისწინებული ნაგებობის-გალავნის აშენება.

**საერთო პირობა: ყველა ზემოაღნიშნული შენობა-ნაგებობის (მათ შორის გალავნის) მშენებლობა დაიწყოს საკუთრების მოწმობის გაცემის მომენტიდან და დასრულდეს 2010 წლის 10 ოქტომბერს.**

აუქციონში მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს, რომელთა ქონებაშიც საქართველოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

**აუქციონში მონაწილეობის მისაღებად პირებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:**

- **განაცხადი;**
- **"ბე"-ს და მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი საბანკო ქვითრები;**
- **პასპორტის ან პირადობის მოწმობის ასლი;**
- **იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ ნოტარიულად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლებს (ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან ბოლო მდგომარეობით);**
- **ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ მყიდველი მოქმედებს სხვა პირის სახელით;**

**აღნიშნული დოკუმენტაცია მიიღება შემდეგ მისამართზე: ქ. მცხეთა, აღმაშენებლის ქ. №73, მიღების ვადა აუქციონის გამოცხადების დღიდან 30-ე კალენდარული დღის ჩათვლით, 10.00 სთ-დან 13.00 სთ-მდე (შაბათ-კვირის გარდა)**

**თუ წარმოდგენილი დოკუმენტაცია დააკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს, მყიდველი მიიღებს მონაწილის ბილეთს და მხოლოდ ამის შემდეგ მიენიჭება მონაწილის სტატუსი.**

**საუკეთესო წინადადების გამოვლენის კრიტერიუმებია:**

**ა) ვალდებულების აღება საუქციონე პირობების დაკმაყოფილებაზე;**

**ბ) მაქსიმალური ფასის დასახელება, რომელიც უნდა აღემატებოდეს გამოცხადებულ საწყის გასაყიდ ფასს (ქონება ითვლება გაყიდულად იმ აუქციონის მონაწილეზე, რომელმაც ყველაზე მაღალი ფასი შესთავაზა გამყიდველს);**

**გ) ობიექტის უმოკლეს დროში ჩაბარება.**

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებისას გამყიდველისა და მყიდველის მიერ ხელმოწერილი, აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი არის წერილობითი ხელშეკრულება.

**მყიდველის ვალდებულებები: მყიდველი ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის განმავლობაში დაფაროს მის მიერ აუქციონზე დასახელებული ქონების საბოლოო გამოსასყიდი თანხა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მყიდველს არ მიეცემა საკუთრების მოწმობა და "ბე"-ს შენატანი არ დაუბრუნდება.**

**ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მყიდველი იღებს წერილობით გაფრთხილებას, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და პირგასამტეხლოს ოდენობა. პირგასამტეხლო განისაზღვრება ხელშეკრულებით, სახელშეკრულებო პირობებიდან გამომდინარე. კერძოდ: ა) ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ყოველ დარღვევაზე საპრივატიზებო თანხის 0,05%. გაფრთხილების შემდეგ პირობების განმეორებით შეუსრულებლობის შემთხვევა და დაწესებულ ვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობა გამყიდველის მიერ განიხილება, როგორც აუქციონის შედეგების გაუქმების (ოქმის) საფუძველი.**

**აუქციონის ჩატარების თარიღი: გამოცხადების დღიდან 30-ე კალენდარული დღე (თუ 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ აუქციონი გაიმართება პირველივე სამუშაო დღეს) 14.00 სთ, მის: ქ. მცხეთა, აღმაშენებლის ქ. №73 , საბანკო რეკვიზიტები: მიმღები: ს/კ 236094196, ა/ა 33030024, ბ/კ 220101415, სახალხო ბანკის მცხეთის ფილიალი.**

**ობიექტის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობაში, საკონტაქტო ტელ: 51-27-27, 51-23-08, 899-34-50-85.**

## განცხადება

**მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს აუქციონს მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ შემდეგ ობიექტებზე 4 ლოტად:**

**I ლოტი:** მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული, მცხეთის მუნიციპალიტეტის, სოფელ წიწამურის ტერიტორიაზე მდებარე 260.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართი.

(უძრავი ქონების საკადასტრო კოდი №72.06.11.436)

**საწყისი გასაყიდი ფასია – 1 კვ.მ. – 9 ლარი და 50 თეთრი**

**II ლოტი:** მცხეთის მუნიციპალიტეტის, სოფელ მუხრანის ტერიტორიაზე მდებარე 200.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართი.

(საკადასტრო კოდი №72.09.39.216).

**საწყისი გასაყიდი ფასით 1 კვ.მ. – 9 ლარი და 50 თეთრი.**

**III ლოტი:** მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული, ქ. მცხეთის ტერიტორიაზე მდებარე 1206.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართი.

(უძრავი ქონების საკადასტრო კოდი №72.07.04.739)

**საწყისი გასაყიდი ფასია – 1 კვ.მ. – 30 ლარი**

**IV ლოტი:** მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული, სელექციის დასახლებაში, №3 კორპუსში მდებარე №6 საცხოვრებელი ბინა, ფართით 64.04 კვ.მ.

(უძრავი ქონების საკადასტრო კოდი №72.02.42.086.01.006).

**საწყისი გასაყიდი ფასია – 372 ლარი**

აუქციონის „ბე" შეადგენს საწყისი გასაყიდი ფასის – 20%-ს.

აუქციონის ბიჯი შეადგენს საწისი გასაყიდი ფასის – 10%-ს.

აუქციონის მონაწილის ბილეთის ფასი შეადგენს – 50 ლარს.

აუქციონი ჩატარდება გამოცხადების დღიდან ოცდამეათე კალენდარულ დღეს, დღის 12 საათზე მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში,მისამართი: ქ. მცხეთა, დ. აღმაშენებლის ქ. №73. აუქციონში მონაწილეების მსურველთა განცხადებების მიღება იწყება გაზეთში გამოქვეყნების დღიდან და გრძელდება 30-ე კალენდარული დღის 12 საათამდე. თუ 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განცხადებების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს იმავე საათზე.

ინფორმაციის გამოქვეყნების შემდეგ, ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს წინასწარ გაეცნოს აუქციონით გამოცხადებულ გასაყიდ ქონებას.

აუქციონში მონაწილეობის მიღებისათვის, საჭიროა ფიზიკურმა პირმა პირადობის მოწმობასთან ერთად წარმოადგინოს „ბე"-ს და ბილეთის გადახდის ქვითარი, ხოლო იურიდიულმა პირმა მასთან ერთად სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები. თუ წარმოდგენილი დოკუმენტაცია დააკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს, მყიდველი მიიღებს მონაწილის ბილეთს და მხოლოდ ამის შემდეგ მიენიჭება მონაწილის სტატუსი.

„ბე"-ს და ბილეთის საფასურის გადახდა უნდა მოხდეს შემდეგ ანგარიშზე: მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა, საიდ. კოდი 236094196 ანგ. №33030024 სახალხო ბანკი, ბანკის კოდი 220101415.

მისამართი და საკონტაქტო ტელეფონებია: ქ. მცხეთა, დ. აღმაშენებლის ქ. №73. ტელ: 51-27-27; 899 22-65-33; 899 34-50-85

## ხსოვნა

# ამიკო კავკასიძე



გარდაიცვალა ბატონი ამირან (ამიკო) კავკასიძე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი, ღირსების ორდენის კავალერი, თბილისის საპატიო მოქალაქე.

იგი 1954-57 წლებში მუშაობდა საქართველოს სამოქალაქო ფლოტის ავიაჯგუფის მთავარ ექიმად აფხაზეთში. იყო „ჯანდაცვის ფრიადოსანი." არის 28 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი; დაჯილდოებულია მედლებით, საპატიო სიგელებით.

ამიკო კავკასიძე წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა თბილისის მეოთხე სამმართველოს საავადმყოფოს. ვისაც კი შეხება ჰქონია მასთან, მისთვის ჩვეული ყურადღება დღემდე ახსოვს ყველას – კეთილი დამოკიდებულება, დახმარება, განსაკუთრებული გულისხმიერება და მზრუნველობა. მისი კეთილშობილური თვისებები, ცხოვრებისადმი სპეტაკი დამოკიდებულება, ურთიერთობაში ტაქტი, მეგობართა შორის სიყვარულს აღრმავებდა; იგი ყველას, მის გვერდით მყოფს, სულგრძელობის მაგალითს აძლევდა. საზოგადოება „თბილისელში" იგი არჩეული იყო ვიცე-პრეზიდენტად, სადაც საზოგადოებრივ-საქველმოქმედო საქმიანობას ედგა სათავეში. ბოლო დღემდე საქართველოს კულტურის ფონდში მოღვაწეობდა; იგი გულმოდგინედ აგროვებდა მასალას საგვარეულო ისტორიის შესახებ, რომელსაც გამოსაცემად ამზადებდა... კეთილშობილი, დახვეწილი პიროვნება, სანაქებო მამა და ბაბუა იყო, მისი კეთილი ღიმილი და იუმორი დიდხანს დარჩება ჩვენს მეხსიერებაში.

წავიდა ჩვენგან თავის ქვეყანაზე, საქართველოზე მოფიქრალი ჭეშმარიტი მამულიშვილი – ამიკო კავკასიძე. საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი და თანამშრომლები გულისტკივილით იუწყებიან მის გარდაცვალებას, თანაუგრძნობენ ოჯახსა და ახლობლებს.

მერაბ ბერძენიშვილი

## გამოსათხოვარი

# ნახვამდის!

ამიკო კავკასიძეს

ცისკრის ვარსკვლავად  
დაგნათოდა  
დედა ქართვლისა,  
შემეცნებაში გენთო მუდამ  
შუქი სანთლისა,  
შენ გაზაფხულიც გქონდა,  
მაგრამ  
მწუხრიც ზამთრისა...

მახსოვს, პატივი და დიდება  
გქონდა ხატისა,  
არ გქონდა შიში მოძულეთა,  
შიში არც მტრისა,  
წუთისოფლიდან უმალ  
გაგყვა  
თვალი ნატვრისა,  
მე შენი მადლის სათნოებას  
ვცემდი პატივსა.

შენი  
ჯანსუღ ჩარკვიანი  
4 თებერვალი

---

ეთერ ქემერტელიძე ღრმა მწუხარებით იუწყება ერთგული მეგობრის, ღვაწლმოსილი, კეთილშობილი პიროვნების

ამირან კავკასიძის

გარდაცვალებას, თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

---

და მანანა კავკასიძე, სიძე ზაურ ბოჭორიშვილი, დისწული ვანიკო, რძალი სოფო მაროშკინა, მძახალი მანანა ჭიპაშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან

ამიკო კავკასიძის

გარდაცვალებას.

---

ლია ბოჭორიშვილი, ირაკლი, ია და ირინა დვალები ოჯახებით იუწყებიან ახლობელი ადამიანის და გამორჩეული პიროვნების

ამირან (ამიკო) კავკასიძის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

უახლოესი მეგობრები გურამ გვეტაძე, გურამ ნასიძე, ზურა ბალანჩივაძე, თამაზ სულუხია, ჯონი ჩხენკელი, ჯემალ კანდელაკი, ანზორ ბერაძე ოჯახებით თანაუგრძნობენ გუჯა კავკასიძეს ძმის

ამიკო კავკასიძის

გარდაცვალების გამო.

## ინფორმაცია

# კაბალაში ხე-ტყეს უკანონოდ ჭრიან

**გარემოს დაცვის ინსპექციის კახეთის ბიუროს თანამშრომლებმა ლაგოდეხის რაიონის სოფელ კაბალაში ხე-ტყის უკანონო ტრანსპორტირების ფაქტი გამოავლინეს.**

**როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრს რეგიონულ ბიუროში განუცხადეს, სამართალდამრღვევმა 2,79 $м^3$ ცაცხვის ჯიშის სამასალე მერქნის ტრანსპორტირებისას ვერ წარმოადგინა ხე-ტყის კანონიერად მოპოვების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. უკანონოდ მოპოვებული ბუნებრივი რესურსი ჩამორთმეულია. გარემოსთვის მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 837 ლარი. მასალები შემდგომი რეაგირებისათვის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტს გადაეგზავნა, – აღნიშნა გარემოს დაცვის ინსპექციის კახეთის ბიუროს უფროსმა ლაშა ჩივიაშვილმა.**

ჯი-ეიჩ-ენი

◉ რეალობა ასეთია

# საოპერო თეატრის მმართველმა, ჭორაობას შევეშვათო...



**რუსთაველის გამზირის მხრიდან რკინის მილები ჩაასვეს და საცაა შემორაგვავენ საოპერო თეატრის ტერიტორიას, ანუ მთელი ძალით გაჩაღდება სარემონტო სამუშაოები და, როგორც თეატრის მმართველი ბატონი დავით საყვარელიძე ამბობს, 2012 წელს გაიხსნება ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო, სუპერთანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი თეატრი.**

**– ახლა არ თქვათ, შენობის გარეგნული მხარეც იცვლებაო...**

– არა, ცხადია...

**– და, ამ საქმეს აფინანსებს კაცი, „რომლის არ ითქმის სახელი“?..**

– ითქმის, ითქმის!.. საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“, ანუ ბატონ ბიძინა ივანიშვილს კიდევ ერთხელ უნდა ვუთხრათ დიდი მადლობა!.. რემონტზე დასაქმებულია უმაღლესი კვალიფიკაციის ხალხი, გერმანული და ავსტრიული კომპანიები... ყოველივეს კი ხელმძღვანელობს ჩვენი ცნობილი არქიტექტორი ლერი მეძმარიაშვილი. ბევრი რამეა გასაკეთებელი, ჩვენ თაბუკაშვილის ქუჩამდე ჩავდივართ და, შეიძლება მთელ ქუჩასაც კი სახე შევუცვალოთ, გავაახლოთ ქალაქის გული... რემონტს მიწისქვეშეთიდან ვიწყებთ... აქაურობა, როგორც მთაწმინდის უბნის ბევრი შენობა, ხომ წყალზე დგას...

სამუშაოები პრეზიდენტის, კულტურის სამინისტროს, ქალაქის მერიის და პირადად ბიძინა ივანიშვილის მკაცრი კონტროლით წარიმართება. აქ გამორიცხულია დევიზი: „სწრაფად და იაფად“...

**– ქალაქში კი, ამ დროს, მითქმა-მოთქმაა საოპერო თეატრის გარშემო... მე ვერ გეტყვით, რამდენად რეალურია ეს ხმები, მაგრამ კვამლი რომ უცეცხლოდ არ ჩნდება, ესეც ფაქტია...**

– მაინც რა მითქმა-მოთქმაა?..

**– ამბობენ, ოპერის ბაღში დავანებული ერის სიამაყენი – ზაქარია ფალიაშვილი, ვანო სარაჯიშვილი, ზურაბ ანჯაფარიძე... სხვაგან უნდა გადაასვენონო...**



– თუ ძმა ხარ, დაწერე: **სისულელეა, სისულელეა, სისულელეა!..** ვინ უნდა გადაასვენონ, სად უნდა გადაასვენონ!.. შეეშვას რა ჭორაობას ეს ხალხი! საქმე არა აქვთ, კაცო?!. გადავასვენოთ კი არა, მერიის ხელშეწყობით ოპერის ორივე მხარე ისე უნდა გალამაზდეს, დღეს რომ „ბომჟებითა“ და ნარკომანებითაა სავსე, შინაურიც და სტუმარიც აღტაცებაში მოიყვანოს იქაურობამ... საცაა კონკურსს გამოვაცხადებთ დიდი ვახტანგ ჭაბუკიანის ძეგლის შესაქმნელად და შემოდგომაზე დავდგამთ კიდეც ოპერის ბაღში!.. რას ჰქვია გადაგვაქვს! ზაქარია ფალიაშვილის ძეგლი, ბატონი მერაბ ბერძენიშვილის ერთ-ერთი ბრწყინვალე ქმნილებაა, მოქანდაკეს ჩაფიქრებული ჰქონდა, რომ ანთებული ჩირაღდნით მდგარიყო, რაც არ მოხერხდა იმ დროს... ახლა კი ავანთებთ ამ ჩირაღდანს, როგორც ერის ნიჭიერების შუქურას!..

**– კეთილი და პატიოსანი... ერთ დილით რომ ეს ძეგლი აღებული დაგხვდეთ, თქვენთვის მოულოდნელი იქნება?!**

– მოულოდნელი არაფერია... იქნებ, მთაწმინდაზე უნდათ ასვენება... მაგრამ მე ვერაფერში გამრევენ, გამორიცხულია!..

**– კარგით... ახლა, ერთი, ამ ჭორს (თუ ჭორიაძ ვუპასუხოთ: უამრავი თანამშრომელი გაუშვეს თეატრიდანო, რატომ?**

– არც ერთი მუსიკოსი ორკესტრიდან არ წასულა, 7 მომღერალი დაემატა გუნდს, შენარჩუნდა კაპულდინერების სახელფასო ფონდი... გავუშვით მხოლოდ რამდენიმე უფროსი თაობის მომღერალი, მაგრამ „ქართუს“ ფონდიდან მათ ათას-ათასი ლარი დაენიშნათ სიცოცხლის ბოლომდე... ხელფასი, მათ სხვათა შორის, 300 ლარი ჰქონდათ... ეს არის სიმართლე...

**– ესპანელის ჩამოყვანა მთავარ დირიჟორად, ვითომ, რა საჭირო იყოო...**

– კი ბატონო... მაგაზეც „გავიმართლებ“ თავს... თეატრში გაუქმდა დირიჟორების სახელმწიფო შტატი და ყველა გადავიყვანეთ საკონტრაქტო სისტემაზე... მათ მოვიწვევთ ამა თუ იმ სპექტაკლზე... რაც შეეხება ესპანელ დირიჟორს, ჯერ ერთი, იგი უმაღლესი დონის პროფესიონალია, დაინტერესდა ჩვენთან თანამშრომლობით, და, რაც მთავარია, იგი იქნება უცხოეთში ჩვენი წარმომადგენელი, ანუ უზრუნველყოფს მრავალ საგასტროლო მოგზაურობას... ესპანელი მაესტრო წელიწადში ორჯერ ჩამოვა საქართველოში სხვადასხვა დადგმის სადირიჟოროდ (ალბათ, იცით, უკვე უდირიჟორა „რეკვიემს“ძ... თითო ჩამოსვლაზე ვუხდით 5 ათას ევროს, რაც არც ისე ძვირია ამ დონის მუსიკოსისთვის...

**– ზაზა აზმაიფარაშვილი!..**

– ბატონ ზაზას შევთავაზებთ უამრავ სამუშაოს შესაბამისი ანაზღაურებით... საერთოდ, ქართველი დირიჟორები არ დაიჩაგრებიან.

**– მგონი, ამოვწურეთ „ბრალდებები“.. ახლა ესეც მითხარით, ბატონო დათო: ამ ხნის განმავლობაში (რემონტის დამთავრებამდეძ როგორ იქნებით?**

– ცხადია გვიჭირს, მაგრამ გამოინახა რაღაც-რაღაცები... მაგალითად, პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის მხარდაჭერით გუნდისა და ორკესტრის სარეპეტიციოდ დაგვითმეს სახელმწიფო კანცელარიის დარბაზი... სპექტაკლებს გავმართავთ რუსთაველის თეატრში პირადად მმართველის ბატონ ზალიკო ჩიქობავას მონდომებით, ქალაქის სხვადასხვა უბანში გვაქვს სამი საწყობი კოსტიუმებისთვის, რეკვიზიტებისთვის... ვიქირავეთ ოფისი თეატრის ადმინისტრაციისთვის... მოკლედ, მთელ ქალაქს ვართ მოდებული და ველოდებით უკეთეს დღეებს, ანუ 2012 წელს და ჩვენი თეატრის ახლებურად გაბრწყინებას...

ესაუბრა
**ვილენ მარდალეიშვილი**

◉ ინფორმაცია

## ყალბი ანგარიშფაქტურების დამზადების ფაქტზე ინდმეწარმე დააკავეს

**საგადასახადო შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებმა ყალბი ანგარიშფაქტურების დამზადების ფაქტზე ინდმეწარმე დააკავეს.**

წინასწარი ინფორმაციით, ექვმიტანილმა გელა გელაშვილმა 100 ათასი ლარის ღირებულების ფაქტურები გააყალბა, რითაც ბიუჯეტს 30 ათასი ლარი აზარალა.

ექვმიტანილის აყვანა გუშინ, ყალბი ანგარიშფაქტურის ერ-ერთი პირისთვის გადაცემის ფაქტზე მოხდა.

გელაშვილმა დანაშაული აღიარა. ბრალის დამტკიცების შემთხვევაში მას 4-დან 7-წლამდე პატიმრობა ემუქრება.

ჯი-ეიჩ-ენი

## ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +4 – +5 |
| ქუთაისი. | +5 – +6 |
| ბათუმი. | +7 – +8 |
| ზუგდიდი. | +6 – +9 |
| თელავი. | +3 – +4 |

## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.7412 ლარი |
| 1 ევრო | – 2.4201 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.7626 ლარი |
| 100 რუბლი | – 5.7277 ლარი |
| 1000 სომ. დრამა | – 4.6224 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.1670 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.1768 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.1669 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.5505 ლარი |



**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

◉ კადრი



◉ ანეკდოტები

– ჩემო ფისუნია, მე შენთვის პირველი მამაკაცი ვარ?

– დღეს – კი.

* * *

ქმარი მივლინებიდან დაბრუნდა.

– რას იტყვი? – ეკითხება ცოლი.

– შენ ჩემთვის ყველაზე უკეთესი ხარ...

– მარტო შენ არ ფიქრობ ასე...



* * *

– ძვირფასო, ცოცხალი ნიანგი გყავს ნანახი? – ეკითხება მიხო ცოლს.

– არა.

– ჩამობანე დედაშენს მაკიაჟი და ნახავ.

* * *

თუ თქვენი ცოლი სულელია, იქნებ სწორედ ამიტომ გამოგყვათ ცოლად?

* * *

ჭეშმარიტება ღმერთს ჰგავს – ან არის, ან – არა. სიცრუე კი რელიგიას წააგავს – ან გწამს, ან – არა, ან კიდევ ისეთ გამომეტყველებას ღებულობ, თითქოს გწამს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.